


საბჭოთა ხელთვნება



9


1958



22
23

საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ თეატრალური
საზოგადოების ორგანო



9

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი

1958




საქართველოს სსრ შთავიზების სახლი

რედაქტორი — ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, კარლო გოგოძე, შალვა დადიანი, აკაკი დვალიშვილი, ლადო დონაძე, სერგო ზაქარიაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე (ამგ მღვიანა).

ი. ოქრობერიძე ვახტანგ გორგასალი



1500

წლისთავი



ქალაქო, მთებში ჩამჯდარო
არწივის ბუდესავითა,
გალანთანო კოშკებო,
დაუნგრევილნო ზვავითა,
კედელნო ვარდის ქვისანო,
ქონგურნო კლდისა საღისა,
ქართლის ქალაქთა დედაო,
ქალაქო გორგასაღისა!


ქართველოა გულის სავანეც,
დიდთა მოეტთა ბინაო,
რუსთველის დიდო აკვანო,
ძველი დიდებით მბრწყინავო,
დღეს შენი მიწა, შენი ქვა
და წყარო შენი წყალისა
განახლებული კერაა
ახალი ნაპერწყალისა.

მტკვრთველო დიდი წარსულის,
მედროშეც ახალ ზრისა,
გმირულმა შენმა მარჯვენამ
შრავალი მტერი გასრისა.
რამდენი ბრძოლა გვინახავს,
მძღვარობა ცეცხლის აღისა!
გამარჯვებულა უოეილოვის
სიმართლე შენი ხმაღისა.

დრო-ვამა ვერ დაგაბერა,
ვეღარ დაგვარა ხავსითა,
და ხალხმა შენი გულისოქმა
ახალ მწვერვალზე ავიდა,
მან ავიუვა მთა-ბარი,
სიცოცხლე გაიხალისა,
წინ გაგიშალა სინაოლე
უფრო ბრწყინვალე ზვავისა.

ქალაქო, მტკვარზე დამჯდარო
რკინის ჩონჩხთან ტივითა,
უფრო აუკავდო, გაბრწყინდი
ბედნიერების სხივითა!

ალექსანდრე აბაშელი



თბილისის სახლის პროექტი. 1860 წ.

თბილისის სუროთომოძვრების ისტორიიდან

(XIX საუკუნე)

ვახტანგ ბერიძე



ბილისი ერთი უძველესი ქალაქთაგანია მსოფლიოში. მისმა წილიდან 1500 წელს გადაკარბა არქეოლოგიას უფრო ღრმადაც მივყავართ — ენეოლითამდე. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც რეალურად, ხელშეახებდა, არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციამდელი თბილისი მთლიანად XIX ს-შია შექმნილი. გამონაკლისს მხოლოდ მონუმენტური ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლი შეადგენს: ნარყაყა, სიონი, ანჩისხატი, ლურჯი მონასტერი, მეტეხი, „ზარაფხანა“, ორიოდე სამრეკლო და სხვ. თბილისის ძველ უბნებში დაგეგმარება და განაშენიანების საერთო ხასიათი უფრო ადრინდელი დარჩა, მაგრამ რეალურად არსებული შენობები XIX ს-ზე ადრინდელი არაა. მთელი საცხოვრებელი ფონდი, როგორც ჩანს, მთლიანად შეიცვალა ალა-მამამად-ხანის შემოსევის შემდეგ.

ამგვარად: რევოლუციამ თბილისს მოუსწრო, როგორც XIX ს-ის ქალაქს, ე. ქალაქს, რომელიც თავიდან ამენდა ფეოდალური წყობილების მიწურულსა და კაპიტალისტური განვითარების ხანაში. მუნებრივია, თბილისის — ქალაქის ისტორია, XIX ს-ის მშენებლობის ისტორიის გარეშე ვერ ჩაივლება ნამდვილ ისტორიად. ეს იქნება ისტორია, დამყარებული მხოლოდ მცირერიცხოვან წერილობით საბუთებზე, ორიოდე გრაფიკულ დოკუმენტსა და რამდენსამე ნივთიერ ძეგლებზე; ისტორია, რომელიც უკუუბედულყოფს თვით ცოცხალ ქალაქს.

XIX ს-ის თბილისის ხუროთმოძღვრება უძველად მრავალმხრივ არის ჩვენთვის საინტერესო. ჩვეულებრივ, XIX საუკუნე — კაპიტალისტური განვითარების საუკუნე — არქიტექტურული ხელოვნების დაცმა-დაქვეითებისა და ეკლექტიზმის გამეფების ხანადაა მიჩნეული. ზოგადად ეს, მართლაც, ასე იყო მთელ მსოფლიოში, ასე იყო ჩვენშიც. მაგრამ ეს ნების არ გვაძლევს ადგებულად მივხეყართ ამ

ხანას. პროცესი, რომელმაც საუკუნის ბოლოს ეკლექტიკურ, უსახურ, არქიტექტურაზე მივიყვანა, რთული იყო. თბილისში დიდხანს, თითქმის საუკუნის მიწურულამდე, არ დამცხრალა ადგილობრივი ტრადიციების ძალა. როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, ამ ტრადიციების გამდიდრებამ რუსეთის გზით შემოსული ევროპული ფორმებით, უაღრესად საინტერესო ნაყოფი გამოიღო — ძველი თბილისური საცხოვრებელი სახლები, რომელთაც უფრო დიდხანს იარსებეს და უფრო საინტერესო ევოლუცია განვლეს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მიაჩნიათ ხოლმე.

ამ სახლების არქიტექტურას მარტო მატერულ-ესთეტიკური ღირებულება კი არა აქვს, არამედ პრაქტიკულაც, რადგანაც მას საფუძვლად ედო ადგილობრივი პირობებს კარხებით ჩამყალიბებული ტრადიციები. ზოგ რისამე დაკვირვება, ამ მხრივ, ღღესაც არ უნდა იყოს უსარებელი.

ქართული ხელოვნების ისტორიკოსისათვის საინტერესოა XIX ს-ის თბილისური არქიტექტურის სტილისტიკური ევოლუცია; საინტერესოა ძველი ქართული არქიტექტურის დასრულებისა და ახალზე გადასვლის ხანა, „გარდაბანა ხანა“. მაგრამ ინტერესი XIX ს-ის თბილისის არქიტექტურისადმი სცილდება ხელოვნების ისტორიის ფარგლებს, მას ზოგად ისტორიული ხასიათი აქვს: მასში — ქალაქმშენებლობის მხრივაც, სტილისტიკური გარდაბანის მხრივაც, ეროვნული ტრადიციების ევოლუციის მხრივაც — მაგვილდ აისახა არსებითი გარდატეხა, რომელიც XIX ს-ის მანძილზე საქართველომ განიცადა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისით.

თბილისის უბნების ზრდა-განვითარებამ, თბილისის სახლების არქიტექტურულმა ევოლუციამ სარკესაგათ ახანის ცვლილებები, რომლებიც ამ დროს ჩვენი სახლის ყოფაცხოვრებაში მოხდა.

როგორილა იყო ეს ცვლილებები?

1801 წლიდან, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, თბილისის ისტორიის თხალო თავი დაიწყო. თბილისის ცხოვრება, ისევე როგორც წინაო, ორგანულად უკავშირდებოდა მთელი საქართველოს — იმხანად, უპირატესად, ქართლ-კახეთის ცხოვრებას და ასე თუ ისე ასახავდა ქვეყნის საერთო მდგომარეობას.

თბილისი, რომელიც ჯერ სრულიად საქართველოს, შემდეგ კი ქართლისა და ქართლ-კახეთის დედაქალაქი იყო, ახლაც ამინისტრაციულ ცენტრად დარჩა: თბილისი დამკვიდრდა მეფის რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოში — თავაჯმარათბუღი, სასულიერო ხელისუფლების მეთაური — ეგზარქოსი თავისი „ტატიო, ქალაქი ვაჩიანოზი და სხვა სამხედრო ნაწილები. 1840 წლიდან თბილისი უკვე მთელი ამიერკავკასიის ცენტრია, 1846 წლიდან კი — კავკასიის მეფისნაცლის რეზიდენცია.

რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე თბილისი ჩნდება ახალი, იმხანადის სრულიად უცხოში, საამინისტრაციო, სასამართლო და სხვა საუწყებო დაწესებულებები, რომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე დიდ მატლებს სამოციან წლებში თბილისში უკვე დიდ და გასტიტოებული ამინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატს არსებობს. ორდებდა რუსი მოხელეების რიცხვიც. ქალაქის მოსახლეობას ახალი მნიშვნელოვანი ფინა ემატება.

საუკუნის პირველი წლებიდანვე იწყებს გამოცოცხლებას თბილისის ცხოვრება — ვაჭრობა, რომელიც XVII ს-ის მიწურულში, აღამამაბლ-ხანის შემოსევის შემდეგ, შეცირებული და დარღვეული იყო. ვაჭრობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მდარებითი მშენებლობის დამყარება, ფეოდალური სასაბუჯის გაუქვბამ, ახალი გზების გაყვანამ, ამ გზების საგანგებო დაცვამ, რაც დადკილებდა ქარავნების მიძოსვლასა და საქონლის გადაზიდვას.

სანამ რუსეთი საბოლოოდ განმტკიცდებოდა და ეკონომურად ფებს მოიკიდებდა ამიერკავკასიაში, თბილისში ირჩინას და ოსმალების გზით შემოსული საქონელი სჭარბობდა. თბილისი შორეულ ქვეყნებთანაც ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა. თავისი მოხეტიაბული მდებარეობით აღძოსავლეთსა და ევროპას შორის, იგი მნიშვნელოვან სატრანსპორტო პუნქტსაც წარმოადგენდა. საფრანგეთის კონსულის გამას სიტყვით, ოციანი წლების დასაწყისში „თბილისში ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს ჩამოდიოდნენ ნეგოციანტები პარიზიდან, კურიერები პეტერბურგიდან, ვაჭრები კოსტანტინოპოლიდან. კალკულები ან მალარსიდან მომავალი ინგლისელები, სომხები სპირნიდან ან იაზიდან, უზბეკები ხუზარბადა; ამგვარად, ეს ქალაქი შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალურ მეტროპოლსა და აზიას შორის“. თანდათან მეტადეღს იტყვს რუსეთთან ვაჭრობა, რომელიც ძირითადად საქართველოს სამხედრო გზით წარმოებდა და უფრო საკლებად — შემხმამ-ბაქო-ფოღჯის გზით.

განსაკუთრებით გამოცოცხლდა თბილისის ვაჭრობა, როცა მთავრობამ 1822 წ. უცხოეთის საქონელზე შეღავათიანი ბაზები დააწესა. თბილისი, არსებითად, მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრად იქცა. აქ წარჩობდა უმთავრესი სავაჭრო ობიექტები ირანთან, თურქეთთან, დასავლეთ ევროპას ქვეყნებთან. ორჯათიან-ორმოცდაათიანი წლებში სამხინა და სავაჭრო ბაზრის შემდგომი ზრდა, გზებისა და კავშირგაბმულობის გაუმჯობესებამ, ქვეყნის მართვა-გამგებობის განმტკიცებამ, ერთიანი ფულადი სისტემის შემოღებამ თბილისის სამეურნეო ცხოვრების სწრაფ წინსვლას იწვევს. საუკუნის შუა წლებიდან, უკვე მატულობს მორჩილად სარეწარმობასა და ფაბრიკების რიცხვიც. ეს წლები ძველი ფეოდალურ-ამქრული ხელისუვნების რღვევისა და კაპიტალიზმის საწყისთა განვითარების ხანაა, ხა-


ნა თბილისის ბურჟუაზიის სწრაფი გამდიდრებისა, თბილისის მოსახლეობა შეუდარებლად იზრდებმა (1803 — დაახლ. 20.000, ორმოცდაათიან წლებში — დაახლ. 30 — 35.000-მდე, 1864 — 67.000) და ამ ზრდასთან ერთად იცვლებმა ქალაქის სოციალური სახეც: ფეოდალურ თბილისს თანდათან ეცვლება საუწყებლო.

XIX ს-ის პირველმა ათეულმა წლებმა ბევრი არა ახალი მოიტანა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაშიც. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ხელისუფლების ფეოდალური საგანმანათლებლო პოლიტიკის, რომელიც მიზნად ქვეყნის რუსიფიკაციას ისახავდა. სკოლისა და დაწესებულებათა ესაღ რუსული სა ექცა. უკვე 1802 წ. დაარსდა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელიც 1829 წ. გენმზიხად გადაკეთდა; 1817 წ. — სასულიერო სემინარია, 1840 წ. — „კეთილშობილ ქალიშვილთა ამიერკავკასიის ინსტიტუტი, 1846 წ. — წმ. ნინოს სასწავლებელი, რომლებიც ორიგინალური ფენებისთვის იყო გახეუთვნილი. იმავე დროის მთავრობა ხელს უწყობდა ადგილობრივი რუსული პერიოდული გამოცემებისა და წიგნების ბეჭდვას, აარსებს რუსულ სამეცნიერო დაწესებულებებსა და საზოგადოებებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, გარკვეული დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდათ.

ამგვარად, ფეოდალური სფეროებიდან ქართული განდევნილია. მაგარა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძიძია წერილის სიტყვით რომ თქვამს, „ქართველთ არ სამთავრო გონებით“. ქართული კულტურა ჩამკვეთი არაა, პირიქით, იგი ნელნელა ეგუება ახალ პირობებს, ითვისებს ზედა რსამე ახარსა და სასარგებლოს, ნაკარნახევს ცხოვრების ახალი პირობებით, ძალს იკრებს მომავალი გამოცოცხლებისა და განვითარებისათვის.

იმდროინდელი ქართული სახეობი ხელოვნება ჯერ რიგაიანად შესუვალილი არ არის და ჩვენ მხოლოდ ზოგადად შეუძლიათ ახალი ტენდენციის აღნიშვნა. მხატვრობაში პრინციპული მნიშვნელობის სახელუა ის, რომ ძველი, მრავალსაუკუნეოვანი ტრადიციის მქონე საფრესყო ფერწერა საბოლოოდ უთმობს ადგილს დაზოგბრივ ფერწერას, სურათს. სურათის მხატვრობი დადამუქვევის ხერხების თვალსაზრისით, თვალსაჩინოა, რომ წინა საუკუნეებში შემოჭრილი აღმოსავლურ-ირანული გავლენა თანდათან იღვევება რუსულ-ევროპული მხატვრობასთან დაახლოების გზით. ამ ახალი ქართული მხატვრობის ცენტრი სწორედ თბილისი იყო, ხოლო უმთავრესი ქანრი — პორტრეტი. XIX ს-ის I ნახევრის ცოცხალი თბილისის წარმოსადგენს ეს მორატრეტი, უმეტესად, თბილისელი მოქალაქეებისა, დიდად მეტყველი მასალა.

ქართული მეცნიერების კერა იმდროინდელ თბილისში სრულიად მოშლილი იყო. ქართული თეატრის გამოცოცხლება მხოლოდ 50-იან წლებში მიტყვევდა. საუკუნის პირველ ათეულ წლებში კი ქართული შემოქმედება ყველაზე უფრო მწიერობას ეფიციენდა, თუმცა მწიერლთა რაოდენობა მიერც, ბეჭდვითაც ცოტა რამ იმეტებდა და, საერთოდ, ლიტერატურას ჯერ კიდევ ვერა აქვს მოპოვებული ისეთი კაპიტური საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როგორიც მან სამოქიანი წლებიდან მოიპოვა. და მინაც, როგორც რომანტიკელი, ისე რამდენადღე უფრო გვიან ჩასახული რეალისტური ლიტერატურა ნათლად ასახავს ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურ წყობილებში მომხდარ ცვლილებებს, ასახავს მოწინავე ქართველთა საუკეთესო იდეალებს. ქვეყნის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკვირვით აშლილ რომანტიკულ ფიქრებს, ფიქრებს სამშობლოს მოვალეობაზე, დამაინის დანიშნულებაზე და სხვა საკაცობრიო თემებზე, ცვლის მკითხვას, არდაზიანას და გ. ერისთავის მიერ დახატული ქაიფის სურათები ქართველი გლეხის უუფლებობისა, დრომოქმული ფეოდალური სისტემის რღვევისა, ფულის ბატონობის დამკვიდრების (შემთხვევითი არაა, რომ ეს ერისთავის კომედიებში ორი ძირითადი გმირია — თავადი, რომელსაც მუდამ „მართებს ფუ-



საცხოვრებელი სახლის პროექტი. XIX ს. ოცინა წლები.

ლი" და „ვაჭარი“, რომელსაც „ხელში ყავს მისი სული“). ქართული მწერლობა ფორმის მხრივაც გარკვევით იცვლის ორიენტაციას და საბოლოოდ თავისუფლდება აღმოსავლური პოეზიის გავლენისგან, რომელიც ძანამდის ჯერ კიდევ საგრძნობი იყო. იმდროინდელი ქართველ მწერალთა თხზულებები, ქართულ-რუსული პიესა, მიჯნაურთა და მურხალისთა ნაწერები ძალიან ნათლად წარმოგვიდგენენ ავრთვე იმ ეპოქისთვის, რომელიც მთლიანად საქართველოსა და უკრაინის ყოველია, თბილისის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებამ განიცადა გარეგნული თვალსაზრისითაც: როგორ შემოდიოდა ახალი წეს-ჩვეულებები, ახალი ტანსაცმელი, ბინების ახალი განართობა და სხვ., ე. ი. როგორ იცვლებოდა თვით ცხოვრების წესობები, გეგმვებმა და მოთხოვნებმა, ის, რასთანაც უწრებოდა დაკავშირებული ხუროთმოძღვრება.

ჭეველური, მამაპაპური ყოფა თბილისში ჯერ კიდევ ღიბნას იყო ფეხმოკიდებული XIX ს-ის განმავლობაშიაც. ეს გზება არა მარტო შიხაურ, საოჯახო ყოფას, არამედ საზოგადოებრივსაც, ქალაქის საერთო ცხოვრებასაც. გარდა საყოველთაო ქართული, შირაველი წარსულიდან მომდინარე ტრადიციებისა, ამ დროს ბევრი რამ იყო ფეოდალური ქართული სამეფოს ბოლო საუკუნეებში, ირანთან და საერთოდ აღმოსავლეთთან მჭიდრო კონტაქტის წყალობით, შემოსული. თუკი ძველი თბილისის ზოგან საეკივიცურამ კომსული. „ძათან ზაზარბა“, კინტობა, ყარახოხებმა, მექსიქებმა, აბანოურნი დროის ტარების ჩვეულებებმა, ძველი ქალაქის „ლიტერატურულმა ზოგებმა“ — რეკვილუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წლებამდეც მიღწია. ბუნებრივია, XIX ს-ის პირველ ნახევარში ყველაფერი ეს გავლენები უფრო ფეხვადებულნი იქნებოდა მაგრამ ეს მაინც წარსული, უფრო სწორად, მიმავალი იყო ფეოდალური ქალაქის ბურჟუაზიულად გადაქცევის პროცესის პარალელურად, შეუდარებლად მიმდინარეობდა ქალაქის ყოფა-ცხოვრებისა და გარეგნული სახის ევროპეიზაციის პროცესიც.

უპირველეს ყოვლისა, ევროპული ჩვევები, ევროპული („რუსული“) სამოქმედო შემოქმედება ახალ ხელისუფლებას, ეს სისახლე შემოქმედით თვით ქართველებსაც, რომელნიც რუსეთში სწავლობდნენ. ნიადაგი ამგვარი ევროპეიზაციისთვის ადრევე. ჯერ კიდევ XVIII ს-დან, მზადდებოდა. მოაგარი კი ის იყო, რომ საქართველოს ბუნებრივი კულტურული ორიენტაცია საუკუნეთა მანძილზე სწორედ ევროპისკენ ჰქონდა. „აღმოსავლეთი“, თავისი სპეციფიკური ადამ-ჩვევებით, მას ძალით მოახვიეს თავს ქართული სამეფოების არსებობის ბოლო საუკუნეებში, მაგრამ თავზე მიხვედნამა გავლენამ მაინც ვერ შეძლო არსებითად და საბოლოოდ შეესის გადაცმა. უკვე რუსეთ II დების მისგან თავის დაღწევის გარკვეული ტენდენციები ჩანს და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯებიც იღებენ. მოწინავე ქართველი საზოგადოება ეცნობა რუსეთისა და დამსწრე ევროპის მორწინავ აზროვნებას. საუკუნის ბოლის თვით ენციკლოპედისტების, მონტესკიუსა და ვოლტერის ანტიფეოდალური და ანტიკლერიკალური იდეებზეც ცნობილი ხდებ

და და გარკვეულ გამოძახილს პოულობს ჩვენში. იმის შეგნება, რომ სამშობლოს ხსენისათვის აუცილებელია რაღაც ცვლილებები სოციალურ სფეროში, მჭიდროდ უკავშირდებოდა ევროპულ-რუსული განათლებისა და კულტურის საპროგრესის შეგნებას. იმ დროს უკვე მეტე ქართველებს ჰქონდა მიღებული განათლება რუსეთში. საქართველოში არსებობდა სახელმწიფო სასწავლებლები, სემინარიები, რომელთა პროგრამა ანალოგიური რუსული სასწავლებლების პროგრამის მსგავსია. არსებობდა თეატრი, რომლისთვისაც რუსულიდან თარგმანი რუსულსა და ფრანგულ დრამატულ თხზულებებს. ეს თარგმანა გრძელდებოდა ქართული თეატრის დასაწყის შემდგომ, XIX ს-ის პირველ ათწლეულში. აღქმანდურ ჰუმანუავე, მაგალითად, თარგმნის კორნელის სინას, რასინის ეფიუს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უკვე მაშინ პოულობდა გარკვეულ ანარქულსა და გამოხულებას ყოფა-ცხოვრებაშიც. უქვეყნა, რომ XVIII ს-ის საქართველოში, სადაც უმაღლეს ფენებში დიდად იყო გამავდარი ყოზილმზური ჩვევები, უკვე იჭრება ევროპული წეს-ჩვეულებებიც, თუმცა ჯერ კიდევ მხოლოდ მოწინავე ინტელიგენციის ვიწრო წრეში. უშუალოდ მეფის ანტირკაში.

ამგვარად, „ევროპეიზაციის“ ჩვენში ღრმა ფესვები ჰქონდა. თუ გიორგი ერისთავის, თავად ივანესა და მის მსახურ გაბრიელისთვის ევროპული კულტურა მხოლოდ ახლებური ტანსაცმელი, ვარშული „ტახიობა“, „ანტრამა“ და პირველად, მოწინავე ქართველთათვის „ევროპის“ (=რუსეთის) შეთვისება ხალხის ცხოვრების არსებით, ძირფესვიან გარდაქმნასთანა დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, ახალი მანც მხელად მკვიდრდებდა. სხვადასხვა ფენები მას სხვადასხვაგვარად ეკუთნიან. თვით არისტოკრატის წრეებშიაც, სხეებულ ივანეს ან ვ. ერისთავისავე პოეტ ბეგლარს, რომელიც პეტერბურგში აღზრდილი, უპირისპირდებოდა თავად ანდლუფარბი, მიმინოთი და მწვეარი მეტეგრებით გატაცებული აჰველ და სხვანი. თბილისის გაშვებდა და მოქალაქეებზე დიდხანს არ თმობენ თავის ყურთმაჯიან კაბას. „განათლებული“, „სერიოზიანი“ და პალტუკიანი კაპიტალისტები მხოლოდ საუკუნის მეორე ნახევრთან ჩანებოდა. უფრო დაბალი ფენები, ბუნებრივია, ამ მხრივ ბეგლარ ჩამორჩებიან მათ. ბარონი ტორნაუ გადმოვცემს, 1832 წ. მხოლოდ უმაღლესი წრის ბარდენსამე ქართველ ოჯახში ეცვათ ქართველებს მძღური ეროვნულ ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ თმობდნენ, როცა სამხედრო სამსახურში ჩადებოდნენ და მუნდრის ჩაიცვამდნენ. ფრანკსა და მრგვალ ქუდს ისინი ერიდებოდნენ, ვითარცა შეუფერებელ სამხედრო ცხოვრებისათვის, რომელიც მაშინ ყველა კავკასიელის ხვედრს შეადგენდა. სა-მეულიც მაშინ ყველა კავკასიელის ხვედრს შეადგენდა. სა-მეული ფენის მანდილოსნები უგამრავლისოდ და აგრეთვე ბევრნი უმაღლესი წოდებოდად ვარეთვე ხალხურ ტანსაცმელს რჩებოდნენ; მხოლოდ აფხაზელს იცვამდნენ ახლებურს და პირბადასაც იმორჩენდნენ. ამას მოსდევდა ფრანგული კადრისა და რუსული ენის სწავლა და „რე-ფორმაც“ სწირად ამით მთარელებოდა, დასქენს ტორნაუ-

გაორება ქალაქის გარეგნულ სახეშიაც და მის ყოფაცხოვრებაშიაც XIX ს-ის ნიშანდობლივი თვისებაა. ამ გაორების ჩვენება XIX ს-ის თბილისის ყველა აღწერის ლექსიკონიც შეადგენს.

«ი ერთი ასეთი (ანონიმური) აღწერა, დაბეჭდილი „კავკასიი ვესტნიკის“ 1847 წლის № 6-ში (წერილს ეწოდება «Письмо в Москву»)»:


«Въехать в Тифлис Московской и Эриванской заставой значит въехать в два города, совершенно друг на друга не похожие; тут Вы едете по широкой, правильной улице (по Головинскому проспекту); там поднимаясь с горы на гору, пробираетесь по темным, кривым, беспорядочно тесным улицам старого города... Здесь вы встречаетесь с тросточками, в модном пальто á la polka, гуляющих чиновников.— навстречу вам несутся экипажи и развезаются перья на дамских парижских шляпках; там вы пробираетесь сквозь целую толпу грузин, в синих чохлах с откидными длинными рукавами, встречаете татар с бритыми затылками, осетин с кинжалами за поясом и в лохматых шапках, имеретин с блином на голове вместо шапки, женщин, картинно закутанных в белые чадры. Здесь так мало зелени, там со всех сторон сады. Здесь совершенно губернский город. дома каменные, по большей части двухэтажные, поставленные в почти-тельном друг от друга отдалении, — там — без церемонии, сакля лезет на саклю, терема точно клетки выглядывают на вас со всех сторон из-за нижних, сплошных, безоконных этажей, занятых лавками, духанами, татарскими кофейнями и т. д. Здесь просто, — там тесно... Тифлис... это в некотором роде Янус, который одним лицом глядит в Азию, другим в Европу».

იგივე ტორნაუ გამომგვეცემს, რომ სანამ თბილისში თეატრი გაიხსნებოდა, საზოგადოებრივ გართობას შეადგენდა: რუსებისთვის ქალაქგარეთ გასეირნება, ღვინის სმა და ბანქოს თამაში, აგრეთვე დარბაზობა კორაჟის უფროსთან; ქართველებისათვის — ბაღებში ქეიფი და ჯდობითი. უმაღლესი საზოგადოების ქართველი მანდილოსნები, რომლებიც რუსულ ზნე-ჩვეულებებს ეგუებოდნენ, მოწყენილად ატარებდნენ დროს სახლში, ან კიდევ ფოციალურ საღამოებზე. ნაკლები შეძლების თავადაზნაურთა წრის, ან ქალაქის საშუალო ფენების მანდილოსნები, ძველებური ჩვეულებებისამებრ, საღამოობით თავს იტყუებდნენ ბა-


ნებზე ცეკვა-თამაშით (აქვე შეიძლება გაეხსენებინოთ რინის სახატებები). ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ აბანოებში, ხუთშაბათობით კი ქალაქელი ქალები დილადრიან მიემართებოდნენ სალოცვად შამადეთოზში.

ორმოციანი წლებიდან, უფრო კი ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების წლებში, როდესაც მართვა-გამგეობაშიც წინსხდელი სახმედრო რეჟიმი რამდენაღმე შენეულდა, თბილისის ცხოვრებაში უფრო მკვეთრად იკედებენ ფესს სიახლენი. იმდროინდელი პრესის ფურცლები გვაძენობენ, რომ იმ ხანებში, განსაკუთრებით ვორონოვის დროიდან, თბილისს მოაყვდნენ უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც ხსნიდნენ მოვლების მალაქაობებს, ევროპული ტანსაცმლის სამეცურაულებს, ვასტრონომიულ მაღაზიებსა და სხვ... თბილისში ყველას კარგად წაუვიდა საქმე, რადგანაც აქ უკვე არსებობდა სათანადო მოთხოვნილება. „ყოფელად ჩნდება ახალი აბრები, ახალი მაღაზიები, ჩნდებიან ფორტუნის — ფულის — მაჭიებელი, წარსად 1846 წ. გაუთხო „კავკაზი“ (№ 16); — ჩვეთახ ვახსნა ოდესიდან ჩამოსული პელებტეის ფრანგული წიგნების ბიბლიოთეკა, გაიხსნა ესტაბლიშის მაღაზია; განჩა იტალიელი ფაბრი, რომელიც ყიდის მეტ-ნაკლებად დიდი ადამიანების სტატუეტებს, ცხოველებისა და ყვავილების მეტ-ნაკლებად სწორ გამოსახულებების თამაშრისაგან; გამოჩნდა მეორე ოსტატი, რომელიც აშაადებს საკმაოდ სასიამოვნო ნივთებს ფერადი მინისაგან“. დიდად ფურულარულია ბლოტის მოვლების მაღაზია, რომელიც პარიზიდან იღებს „ფრანგული მრეწველობის საუკეთესო ნაწარმოებთ“, პოლანდიურ ტილოს, ხელთათმანებს, ბრინჯაოს ნივთებს, მარაოებს, ქოლგებს, ვრავიურებს, მოქორულ ჩარჩოებს, ქალის კაბებსა და ქულებს და სხვ... ოდესიდან ჩამოიღის ევროპული ტანსაცმლის მკერავი რუარი, ოდესიდანვე ელოლებიან „ხელოსნების მიუღ კლონიას“, რომელიც, უმეველია, ვორონოვის გამოეღეკობა იქიდან. ჩამოიღის აგრეთვე „სრულად ახალი სახეობის არტისტი, ბრესლაველი ველნერი“, რომელიც ქალებს რამდენსამე საათში ასწავლის ჭრა-კერვას ყურნალების ნახატების მიხედვით. 1846 წელს უკვე არსებობს დაგვიროტიბია, უკვე ჩამოსულია ფორტიკიანოს ოსტატი. იხსენაც პანსიონი, რომელიშიაც ფრანგულს, ცეკასა და მუსიკასაც ასწავლიან.

თეატრისა და კეთილშობილთა საკრებულოში ხშირად იმარება ბალები, რომლებიც „თბილისში ისევე მოდა-შია, როგორც ყველგან“. მაგრამ რაკი იქ მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენელი იკრიბებიან, სხვა მსურველთათვის იხსნება საგანგებო საცეკავო კლუბი. ქალაქის ძალტურისად ცხოვრებაში გამოცოცხლებს იწვევს ჯერ



საცხოვრებელი სახლის პროექტი. XIX ს. ორმოციანი წლები.



ბ. წოინიშვილი

ძველი თბილისის ქუჩებში, გუაში.



ნადირობა

— ბიჭოს, აქეთ რამდენი ნადირი
სცოდნია წამომეღო ჩემი ორღუ-
ლიანი ზაუერი.

ნაყრბალში

— ღვთის ბრძანებით ხორობზე ნადი-
რობა აყრბალეღია, გაღიახადეთ
ჯარისა და ჩაგვაბარეთ ნადეღლი




ჩახობილი

— ოხო, ეს ხორობი უკვე ჩახობილი
ყოფილა, ამოიღე ჩანთიდან იენი-
სელიო!



გაგრძელება იხ. შემდეგი ფერალი
ჩანართის მეორე მხარეზე



მალაზიებიანი სახლის პროექტი. XIX ს. ოციანი წლები.

რუსული თეატრის დაარსება, შემდეგ კი იტალიური ოპერის გახსნა და ქართული თეატრის აღორძინება.

რა თქმა უნდა, ახალ თეატრებს არ შეეძლოთ იმთავითვე დამკვიდრებით ისეთი ადგილი ქალაქელთა ცხოვრებაში, როგორც მასობრივ ხალხურ თეატრალურ სანახაოთა ან საორიგინო შეჯიბრებებს (ყენონობას, ჯირიოს, კრეს) ეჭირათ მაშინ. ცხადია, არც ძველი თბილისის ზეპირსიტყვიანობა, სათარის სიმღერები და დღეულების საირიგადარიანობა ამის გამო, მაგრამ ინტელიგენციის წრეებისთვის თეატრი, კერძოდ, იტალიური ოპერაც, უპიკველად დიდი მნიშვნელობის კულტურული ფაქტორი იყო, რომელსაც თავისი წყლილი შექმნიდა ცხოვრების ახალი „სტილის“ დამკვიდრების საქმეში. მიხ. თუნიანშვილს („მოლაყბეს“) რამდენადვე კარგატიურულად, მაგრამ მახვილად კი აქვს აღწერილი „ოპერის სხეულებმა“, რომელმაც მამინდელი თბილისი შეიპყრო: „აქეთ-იქიდან ისმოდა მხოლოდ სახელები როსსინისა, ბელორისა, ლინციეტისა, ვერდისა და ასე გასწვდებ ვაგნერისს... არ ვიცილია რა მექნა, მეგონა, რომ ვიყავ არა ვორგასლანის ქალაქში არამედ, მიხილნი, ანუ ვენეციასში. შემხვდა ერთი ჩადრიანი ყმაწვილი იო ქალი, რომელიც მობლიდა და ამბობდა: თქვენი ბელორისის შვის, ჩადრზე ფეხი არ დამიბდათო. ახლოს ქუჩიდან ჩამობრბოდა ერთი იმერლის მუშა და დასაძობდა: „ფიგარო აია, ფიგარო იქა, ფიგარო ზეითი, ფიგარო ქვეითი!“ ასე სულ გადარბულან, ყველას მოსდებია ოპერის რაღაც სხეულებმა. პატარა ბიჭების ციცილმა „ლა დონა მობილეს“ ხმაზე ხომ ილაყა წაილი“.

იმდროინდელ თბილისში უკვე ბევრია ევროპულად გამართული ქართული ოჯახი. საქმარიანთა გაეისესეული ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისთან დახსოვებული ინტელიგენტთა ოჯახები, რომლებიც მოწინავე ქართველების ბირთვის შეადგენდნენ.

რა თქმა უნდა, ყოფა-ცხოვრების ახალი წესი, ახალი ნორმები, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენდა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაზე. რომელიც სწორედ დასიანის საყოფაცხოვრებო მთხოვნილებათა ფუნქციას შედგენს. თბილისის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში მძლავრად იჭრება ახალი ფორმები, რომელთა დასაწყისს ხელს უწყობდა ოფიციალური სამშენებლო კანონმდებლობაც. ქალაქის ძველსა და ახალ უბნებში სწორედ ორმოციანი წლებიდან გამავლობით შენდებოდა ორ-სამსართულიანი სახლები, იქმნებოდა ახალი რეკლარული ქუჩები, რომელთა შესახებაც წერდა „კავკასიაში ვესტნიკის“ ანონიმური ავტორი. 1846 წელს გაზეთი „კავკასია“ თბილისის ბავშვთა სასახლის მშენებლობისა და სახისცვლის ასეთ სურათს გვიჩვენებს: «Кто не видел (Тифлиса) один лишь год, тот изумится при виде сотни домов в одно лето возникших там, где прежде стояли не избушки на курьих ножках, а землянки или сакли с окнами, заклеенными бумагой, с дарбаром внутри, припертые задним фасадом к откосу горы. Перемена декораши удивительная! Во время

оно, когда еще луч европейской образованности и роскоши не западал в стены дряхлого Тифлиса, жилища людей едва отделялись от земли, и любитель прогулок, без затруднения и вреда, мог обойти весь город по крышам, и разве в темноте рисковал только попасть ногой в трубу и уронить

туфлю в котел с пловом, к изумлению сидевших вокруг костра, разложенного по середине. Один лишь Храмы Божии стояли тогда одиноко, величественно возвышая остроконечные куполы над мурaveйником человеческим. Теперь жилища людей слятся подняться выше святых церквей, огромными ступенями громоздятся друг возле друга, все выше».

ი. ევლახოვის ცნობით, ორმოციანი წლებში ადგილობრივი მკვიდრი თავის კაპიტალს უჩველად სწორედ სახლების მშენებლობას ახმარებდნენ. გაძლიერებული მოქალაქენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სახლების ახალმოდურ მოკაზმვაში (სოლომონ ისაკიჩ მუჯალანაშვილმაც ხომ სოლოლაკში ნაყიდი სახლის ერთი ნახევარი — „სამი ოთხი და ორი ზალა“ — გამართა. ევროპის გვერდებზე, მეორე ნახევარი ჩვენურად — ქართულად). ბევრ რასაც ჩაცმა-დახურვაშიაც, ზნე-ჩვეულებაშიაც, რაც თავდაპირველად მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილით იყო მიღებული, შემდეგი თაობები უფრო ორავსულად ითვისებდნენ. მაგრამ მაინც სამოლოო გარდატეხა ქალაქის ცხოვრებაში მხოლოდ სამოციანი წლებიდან ხდება, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც თბილისისა და მთელი საქართველოს ცხოვრებაში ახალი თავი — სწრაფ კაპიტალისტურ განვითარებასთან დაკავშირებული — ხანა იწყება.

სამოციანი-სამოცდაათიანი წლების თბილისი უკვე სავარძობადაა წინ წასული ევროპეისკის გზაზეც. 1842 და 1878 წლების თბილისი — ეს აზია და ევროპა; ახლა აღმოსავლური თავისებურება საქებარია, მაშინ კი იგი პირდაპირ გვექმნოდა თვალში“ — წერდა ზოსერმანი. გუბარებულად განვითარებულია თბილისის კულტურული ცხოვრებაც. ქართული მწერლობა, რომელიც საუკუნის პირველ ათეულ წლებში ირავათად თუ სცილებულდა სალონების ფარგლებს, ახლა საზოგადოებრივი აზრის ამორტივების მძლავრი ფაქტორი ხდება. ეს უკვე თერგდალეულთა ხანაა, ქართული აზროვნების განვითარების, დიდ სოციალურ და ეროვნულ პრობლემათა წამოჭრის ხანა. ამდროინდელ თბილისში უკვე რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებიც არსებობს.

სწორედ ამ დროიდან მოყოლებული ყალიბდება საბოლოო თბილისის ხუროთმოძღვრული და „საყოფაცხოვრებო“ სახე, რომელშიც ევროპის დიდი რეკლავციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებამდის მოათავსა.

XIX საუკუნეში თბილისის არქიტექტურაში თანდათანობით ახალი თემატიკა შემოიტანა და ახალი პრობლემები დასახა.

საქართველოს ფეოდალური ქალაქების ხუროთმოძღვრული თემატიკა მუხუბლდულია ფეოდალურ რეალურ სახეობაში, მეფის, მის მახლობელთა დიდი ოჯახობათა სასახლეები,



ეკლესიები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, მარტივი დეპტენები და სახელისწილები, აბანოები — ესაა შერჩეული ძირითადი სახეები. უფრო მორჩილ ქალაქებში ამათ ქარვასლები შეიძლება დაფარული იყოს. XVIII ს-ის მიწურულის ბევრათა თანახმად, თბილისში არსებობს აგრეთვე სტამბა, არსენალი, ზარაფხანა, ზარბაზნების ჩამოსასხმელი სახელოსნო, საბავა; მაგრამ ამ შენიშნა ხუროთმოძღვრულად ჩამოყალიბებული სახეზე ლაპარაკი, ცხადია, არ შეიძლება. ჩვენ არ ვიცნობთ სტამბის, არსენალის, სასუფლელოს, საბავას და სხვა მსგავსი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დანიშნულების საქალაქო დაწესებულებათა სპეციფიკურ ქართულ არქიტექტურას. ამ დაწესებულებათა შერჩეული ერთეულებად შეიძლება, ან სხვა შემთხვევაში (სახალხების, მონასტრების) კომპლექსური შენობა და დამოუკიდებელი ღირებულებების მოკლებული იყო (გამინაყლის ქაედგენს ქარვასლები და აბანოები).

რუსული ხელოსნულების დამყარების შემდეგ, ზოგი ძველი თუბა — საცხოვრებელი სახლი, ეკლესია, ქარვასლა და დეკორატიული ნაგებობები, აბანო, — ბუნებრივია, განავრთობს არსებობას, მაგრამ თანდათანობით თითქმის ყველა არსებული იველის სახეს, ახალი შინაარსით იცვლება და ახალ ფორმას იძულებულია მიიღოს. ჩნდება მრავალი, ამანადის უცნობი, თუმცა, წარმოშობით ცხოვრების ერთობით: სადამინისტრაციო შენობები განშტოებული მმართველი აპარატისათვის, ყაზარმები, ახალი ტიპის სასუფლებლები, თეატრი, საავადმყოფო-პოსპიტალი, სპეციალური დანიშნულების შენობები (მაგ., ოსტრეგატორია, რკინიგზასთან დაკავშირებული ნაგებობანი, ფაბრიკა-ჩხენები, ბანკები და სხვ.). საუკუნის მიწურულში თბილისში უკვე არსებობს საქალაქო შენობათა მთელი ის ასორტიმენტი, რომელიც დამახასიათებელია XIX საუკუნის კაპიტალისტური ევროპის ქალაქებისათვის.

XIX საუკუნეში მწვავედ დასვა ქართული ეროვნული არქიტექტურის შემდგომი არსებობის საკითხი. ამას როგორც ზოგადად, ისე კერძოდ, ადგილობრივი მიწუხები ჰქონდა, მიწუხები, დაკავშირებული ახალ პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებასთან:

ა) XIX საუკუნე — კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების ხანა — ნაციონალურ არქიტექტურათა გადაკვარებისა და საერთოდ არქიტექტურის, როგორც ორგანული მოედლის, კონსტრუქციის იყო. ბურჟუაზიამ მსოფლიო ბაზრის ექსპლუატაციით ყველა ქვეყნის წარმოება და მოხმარება კონსპოლიტურად გადაასხვაფერა. მან... მრეწველობის ნაციონალური ინოვაცი გამოაცალა, — წყაროდენ მარქსი და ენგელსი — კოლენისტურ მანიფესტში. — ძველი ნაციონალური მრეწველობა მოიხსო, ან დღით დღე ისპობა. მის დღეის ახალი მრეწველობა, რომლის შემოღებამ ყველა განათლებული ერისთვის სასიცოცხლო კითხვად ხდება; ის მრეწველობა, რომელიც აბუზავებს არა მარტო ადგილობრივს, არამედ შორეული ქვეყნების ნედლ მასალასაც, რომლის ფაბრიკული წარმოებში იხმარება არა მარტო ადგილობრივი, არამედ დეკამიწის ყველა ნაწილი... წინანდელი კუთხური, ნაციონალური კარგაკეტობობა და თვითმკაფილობა ადვილს უთმობს ერთა ყოველმხრივს ადგილ-მიცემობას და ყოველმხრივს ურთიერთ დამოკიდებულებას. ეს — ასეა როგორც ნივთიერი, ისე სულიერი მოქმედების დარჯობა. ამა თუ იმ ერის გონებრივი მოღვაწეობის ნაყოფი ხდება საყოველთაო კუთხვებობად: ნაციონალური ცალმხრიობა და სიციფრეობა ახლა უფრო შეუძლებელი ხდება. მრავალი ნაციონალური და კუთხური ლიტერატურებიდან ჩნდება ერთი მსოფლიო ლიტერატურა.

მაგრამ თუ ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა და, ზოგან, სახეობი ხელოვნებაც იმავე ტიპის ერთგვარ ეროვნულ სახესაც ინარჩუნებს, არქიტექტურა ამაგვარ სახეს სწრაფად კარგავს და საუკუნის მთელი ნახევარი მიანც საყვებით კონსპოლიტური ხდება. ამანებულ ტენიკის სწრაფმა განვითარებამ, სტატისტიკური ანგარიშის ჩამოყალი-

ბემამ არჩეულიებრივად გააფართოვა არქიტექტურის შექმნის საძლებლობანი კონსტრუქციების მხრივ (თუჯა, რკინა, რომლითაც გრანდიოზული ნაგებობის გადასწრაფი შეიძლება). მაგრამ ამ ახალი კონსტრუქციების ადექვატური მხატვრული ფორმა XIX ს-ის არქიტექტურაში ვეღარ მოძებნა, სამშენებლო ტექნიკა და ხუროთმოძღვრული ფორმა მკვეთრად გაითიშა, ხუროთმოძღვრების წინანდელი ორგანოლობა დაიწრაფა, დაიკარგა დიდი არქიტექტურის მხატვრული სიძაროლე. დაკინება ჩანს ქალაქგეგმარებაშიც: XIX ს-ის კაპიტალისტურ ქალაქებში უკვე აღარ იმჩნევა და დიდ სერიოზოზღვრული ასანამბლები, რომლებიც ბრწყინვალე ნიმუშები შექმნა XVII—XVIII სს. და XIX ს-ის დასაწყისის კლასიციზმში. ყველაფერი ეს, არ თუბა უნდა, ესება რუსეთსაც და, მათთან ერთად, საქართველოსაც, რომელიც, როგორც იმპერიის ნაწილი, უკვე მტკიცედ შეაერთებდა ევოლუციის ამ საერთო ტენდენციას.

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების არქიტექტურა, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით და უფრო შეგვიანებით, ვიდრე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი ქალაქების არქიტექტურა, მაგრამ მაინც ასახავს XIX ს-ის მსოფლიო ხუროთმოძღვრების გზებს. მან-იანი წლებიდან თბილისშიაც შეუყვანებლად იტრება ეკლექტიზმი, სხვადასხვა „სტლით“ შენების პრაქტიკა, რაც დღედა დასახასიათებელი იყო მთელი ევროპული არქიტექტურისათვის. ჩნდება ფსევდოგოთური, ფსევდომოზარული, ფსევდორეკლესიული სახლები, რომლებიც ერთიანად ბესებენ ახალი ქალაქის უბნებს. ბურჟუაზიული თბილისშიაც უშთავრეს ხუროთმოძღვრულ თუბად იქცა რამდენიმესაბურთოლიანი, მრავალბინიანი, „შემოსავლიანი სახლი“ — ტიპური პროდუქტი XIX ს-ის კაპიტალისტური ქალაქისა.

ბ) რით შეხვდა თვით ქართული ხუროთმოძღვრება XIX ს-ს, რა დახვედრა მან რუსეთ-ევროპიდან მიზღვავებითა დასაქალაქა? ფეოდალურმა საქართველომ, როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე შემოინახა ტაძრის, ფეოდალური ციხე-სიმაგრისა და სასახლის გარკვეული სახეები. ეს შენობები წარმოადგენენ ძველი მონუმენტური ქართული არქიტექტურის წამძლო ტიპებს; სწორედ ისინი იყვნენ ეროვნული ხუროთმოძღვრული თავისებურების შემქმნელები და მატარებლები (კე, ცხადია, არაფრის ვაგობით ხალხურ მშენებლობაზე). ქალაქის არქიტექტურის შექმნა საუკუნეთა საქართველოში არასოდეს არ უთამაშია არსებითი როლი სტლის ჩამოყალიბებასა და ევოლუციის; მას არ მოუპოვებია ისეთი მნიშვნელობა, როგორაც დასავლეთ ევროპის ფეოდალურ-ხელოსნური ქალაქების არქიტექტურას ჰქონდა გოთურ ეპოქაში, რადგანაც თვით ჩვენი ქალაქების ხედილობა წინაც არ ყოფილა ისეთი, როგორიც ფეოდალურ ევროპაში იყო.

XIX საუკუნეში, ფაქტობრივად, ჯვარი გადასხვა შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის ყველა ამ უმთავრეს სახეებს: ფეოდალურმა ციხე-სიმაგრემ მალე სრულიად დაკარგა თავისი ფუნქცია; ფეოდალური ციხე-სიმაგრის ადრე შეუფერებლად ახალ მოთხოვნილებებს, ცხოვრების ახალ ნორმებს; იმავე დროს, მისი მნიშვნელობა ისევე, როგორც საუკუნის არქიტექტურისავე, საერთოდ მეორე პლანზე გადავიდა. ამიერიდან წამძლო — საქალაქო არქიტექტურა, მაგრამ არა ძველი ქართული ქალაქების არქიტექტურა, არამედ ახალი არქიტექტურა, რომლებიც ახალ, სპეციფიკურ, თემბეკასთან ერთად, სრულიად ახალი ფორმების შემოქმედება.

რუსული ხელოსნულების დამკვიდრების შემდეგ თბილისისა და საერთოდ საქართველოში შექმნიერად გავრცელდა ის სამშენებლო კანონმდებლობა, რომელიც მთელ იმპერიაში მოქმედებდა. ეს ექსპანსია ვერ შეინიშნავრებოდა და არც შემოფარებულია მხოლოდ ორგანიზაციული მხარით: რუსულ კანონმდებლობასთან ერთად თვით იმდროინდელი რუსული არქიტექტურის შემოქმედებაც, ბუნებრივია, რომ ყველა ოფიციალური ნაგებობა თბილისში იმგავ-



რადვე შენდებოდა, როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში, ე. ი. გვიანი რუსული კლასიციზმის ფორმებით, მით უფრო, რომ ამ მშენებლობას საფუძვლად ედო მთავრობის მიერ დამატკეცილი „სანიშნუში“ პროექტები.

არქიტექტურის ისტორიის გარდასაყვალ ეპოქებში, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ხუროთმოძღვრება ახალ იდეოლოგიურ საფუძვლებზე მტკიცდებოდა, ახალ შინაარსსა და ახლად დახვეწილ თემატიკას ითვისებდა, სათანადო ფორმის ძიება ყოველთვის რთულ პროცესს წარმოადგენდა. ამ პროცესის არსებით მხარეს მუდამ შეადგენდა ახალი შინაარსისთვის საჭირო ახალი ფორმების შეგუება ტრადიციულ ძირველ ფორმებთან. და თუ ამ ძირველ ფორმებს სიცოცხლის უნარი გაჩნდა, მათი გავლენა თვალსაჩინო ბეჭედს ასევედა საბოლოოდ შემუშავებულ ახალ ფორმას. ამის მკაფიო მაგალითია თვით ქართული ხუროთმოძღვრება ჩვენი წყლობლიტების დასაწყისში, როცა მამ, ქვისიტანულ ეკლესიის მიერ გარედაქმნილი არქიტექტურული თემისთვის მკაფიო ეროვნული სახის რქონე ახალი ფორმა შეიმუშავა.

ახლა, XIX ს-ის დასაწყისის თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში, სულ სხვა სურათი ვკვლევ. აქ ძველთან ახლის ორგანულ შეგუებაზე, რაიმე ევოლუციურ პროცესზე ლაპარაკ არ შეიძლება: ახლა ხომ არა მარტო არქიტექტურა იყო გარედან შემოტანილი, არამედ თვით მშენებლებიც (ე. ი. შემკვეთი) გარედან იყო მოსული და არც მას, არც მის მიერ შემოტანილ არქიტექტურას, არაფერი არ აუკმირებდა ორგანულად იმასთან, რაც მათ ადგილობრივად ნახდა. მეორე მხრივ, სწორედ ამ ოფიციალური—სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი შემოხების არქიტექტურის საქართველოში არც დახვედრა რაიმე შემუშავებულ ტრადიციას, რომელიც შეძლებდა „თავის სიტყვის“ თქმას, როგორც ითქვა, ამგვარი დანიშნულების შენობათა ძლიერ უმეტესობა საერთოდ უცნობი იყო ევოლუციურ საქართველოში. ამგვარად, თბილისის ოფიციალურ მშენებლობაში გვიანი რუსული კლასიციზმის სტილი შინაგან-გვიანობის შედეგად კი არ ყოფილა შეფასებული, არამედ იგი მზახზარეულად გამოიჩინა და დეკორატივ დამკვიდრდა. რაღა თქმა უნდა, ეროვნული არქიტექტურისათვის ეს ახალი ასპარეზი დახშული იყო.

მარცა არსებობდა მშენებლობის ერთი დარგი, რომელშიც საკითხი ასე მარტივად, „დეკორატივ“ ვერ გადაწყვეტიდა და არც გადაწყვეტილა. ეს იყო ქალაქის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა.

სასწუარად, ჩვენ ცოტა რამ ვიცით ამ არქიტექტურის შესახებ XIX ს-მდის. მაგარი მისი ცხოველურარიახობა თვით XIX ს-ში, მისი მკაფიო თავისებურება უავითარების ამ ახალ ეტაპზე, მოწმობს, რომ თბილისის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში ზოგიერთი ძირითადი პრინციპი უკვე ადრევე უნდა ყოფილიყო მტკიცედ შემუშავებული (ასეთი დასკვნის გამტარება ცხდია, ა priori-ც შეიძლება). იმავე დროს, გვიანი ხანის „სასახლეო“ ცალკეული ნიმუშები და აქ-იქ მიმოფანტული წერილობითი ცნობები ვაგვიჩვენებს, რომ ცალკეული „ვერობული“ ელემენტები XVIII ს-ში მაინც უკვე იყო შემოსული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, XIX ს-ის სიახლეთა ასათვისებელად ზოგი რამ უკვე შემუშავებული იყო. ახალ ცხოვრებას ხუროთმოძღვრების ამ დარგში ცარიელი ადგილი კი არ დახვედრა, არამედ გარკვეული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აქტიური“ წიაღის, რომელიც ამის შემდეგვე განაგრძობდა მოქმედებას: თბილისის ბუნებრივი პირობები, რომლებიც უშეძველია, ადრევე მოქმედებდა საცხოვრებელი სახლის სახის შექმნაზე, უძველეს ფაქტორად რჩება ახლაც: მასშველთა ძირითადი მასა ახლაც შეიღება თბილისელ მკვიდრთაგან, რომელთა ყოფა-ცხოვრების ნორმების და მხატვრული გემოვნების მქონდობა დაკავშირებული საუკუნეებით შემუშავებულ ტრადიციასთან. აქ უკვე, თბილისელთა სასურთარი საცხოვრებელი სახლის არქი-

ტექტურაში ახალი ფორმების შექანიკური გადმონერგვა შეუძლებელია. ახლის შეთვისება თანდათანობით და ორგანულად განუხლად ხდება თვით ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა კანონით. თბილისური საცხოვრებელი სახლი სხვის ცვლის, მდღერდაც ახალი ელემენტებით, მაგარი საუკუნის პირველ ნახევარში მაინც კვლავ თბილისური სახლად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის რეგლამენტაცია („სანიშნუში პროექტები“) საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაზეც ვრცელდება. ამგვარად, აქ კანონზომიერი ისტორიულ პროცესთან ვაკვებ. სწორედ ეს პროცესი—თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის მიერ კლასიციზმის ელემენტთა შეთვისება, გვეჩინა და ფასდის ახალ სქემათა თავისებურად გადამკმეება—შეადგენს XIX ს-ის თბილისის არქიტექტურის ყველაზე სანტიტეტოსსა და მნიშველოვან ფაქტორს.

როგორც ვთქვით, ძველ თბილისში რაღაცხევა ხე-როთომოდებული თემაც არსებობდა. მათ შორის ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე ამანისა და ქარვასლის თემებს უნდა ჰქონოდა. ორივე განაგრძობს არსებობას XIX ს-მდის და გარკვეულ თავისებურებასც ინარჩუნებს. მაგარი ეს მანიც ერთდელი შემოხები იყო, რომლებიც ქალაქის ზოგად მთავრ არსებით გავლენას უკვე ვეღარ მოახდენდნენ. თანაც, მათი თავისებურება ეროვნული ქართული ხასათისა არც მანამდის ყოფილა: თბილისის ქარვასლ-აზანობები, რომელთაც XIX ს-ის მიჯნამდის მოაღვეს, რომორც ჩანს, ქართულ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო საუკუნეებში იყო აგებული და მათი არქიტექტურა ამონსავლურ-ისლამური გავლენის თვალსაჩინო კვალს ატარებდა. ძველი ქართული ტაძრის არქიტექტურაზეც, არსებითად, უკვე XVIII ს-ში დაამთავრა არსებობა და ახლა რუსულ ეკლესიას დაუთმო ადგილი.

ამგვარად, ქართული ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები, განხვედრილი ახალი ოფიციალური მშენებლობის სფეროებთან, „თავს აფარებს“ მხოლოდ საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას, რომელიც დიდ ცხოველურარიახობას იჩენს. მაშინ, როცა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ყველა სხვა სახეობა გადაკვდა (აქ არ გველის-ნმხოთ გულების საცხოვრებელ სახლს), ქალაქის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში ჩვენ ვაკვებს ახალი ეტაპი. მართალია, საბოლოო ევოლუცია აქაც გაუპირიგებლსაკენ იყო მიმართული, მაგარი ეს უკვე საუკუნის მიწურულში მოხდა, როცა თბილისი ჩვეულებრივ კაპიტალისტურ ქალაქად იქცა. ოცდაათიან-სამოცეან წლებში აგებული საცხოვრებელი სახლების მასამ კი მანიც თავისი როლი შეასრულა და ქალაქს საუკუნით თავისებური, მკაფიოდ ინდივიდუალური, იერი მიანიჭა.

4

XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლის ევოლუციის ჩახსება ათიანი წლებიდან მანიც უნდა გვიჩარულოთ. 1818-1819 წლებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ასაშვერბელი სახლების პროექტები. ყველა ევოლუობითი ცნობა და საბუთიც მანიც მიწმობს.

არსებითი მნიშველობა ჰქონდა მშენებლობის რეგლამენტაციას, რომელიც სწორედ ათიანი წლებიდან დაიწყო; კერძოდ, კანონს, რომლის თანახმაც ყველა საქალაქო სახლი „უზუნებასად აპრობირებულ“ ფსახლებს მიხედვით უნდა ამეშველულიყო. ეს „აპრობირებელი“ ფსახლები საერთო იყო მთელი იმპერიისთვის. ისინი, ზუნებრივია, გადაიტენეს რუსეთში გავრცელებული, საქართველოსთვის გადაიტენეს უცხო, ხუროთმოძღვრული ფორმების დანერგავდაც. ეს ფორმები გვიანი რუსული კლასიციზმის ფორმები იყო.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ 1810-1815 წლებიდანვე, რომ ტრამასოვმა და რტიშვევმა გამოსცეს ინსტრუქციები ტიპობრივი სახლის ნიმუშების შესახებ, ერთმანვე მოხდა გარდაცვლა. ახალი ენა და გატვირთვითი იჯავრება გზას:

ა) ძნელი იყო მექანიკურად, ბიუროკრატიული წესით, გადმოირიგელი უცხოები ფორმების სრულად შეთვისება; ბ) ფორალური კალაქი რომლისთვისაც უცხო იყო თვით პრისციპალი გეგმებიან მშენებლობას, ძველად ეკუთვნოდა სამშენებლო კანონმდებლობას. თანაც, პროექტის დამტკიცებაც ხაზგარდღივ პროცედურას წარმოადგენდა და სახელის აგების მსურველი, აირიველ ხანებში აიაცი, ცდლობდნენ როგორმე თავი დაღწიონ მისთვის; გ) თვით ხელისუფლება, თუმცა კი წესებისა და ინსტრუქციების გამოცემა, სასუკუნის პირველ ათწლეულს წლებში ქალაქის ახალი მშენებლობა საერთოდ ნელა მიიწეოდა წინ.

სწორედ ამიტომ ოცდაათიანი წლების დასაწყისშიაც, «Тифлис не только по наружности, но и по характеру здания, принадлежал к числу городов самородного азиатского типа, если не считать несколько зданий «новой постройки»;» და მხოლოდ ორმოციანი წლებში «Торой, увлеченный порядком чуждом домов европейской постройки, много утратил из оригинальности своего первобытного вида».

ჩვენ საშუალება არა გვაქვს თვალსა დასაყრდენით თბილისური საცხოვრებელი სახლის გეგმის ევოლუციის საუკუნის პირველ ათწლეულს წლებში, დავინახოთ ძველი გეგმიდან ახლებურად გადასვლის საფეხურები, თუ კი ასეთი საფეხურები არსებობდა: ორმოციანი წლების დასაწყისამდის პროექტები გეგმის ნახაზს არ შეიცვალა. სამშენებლო რეგლამენტაცია, «პრობორებელი პროექტები» მხოლოდ ფასადებს გულისხმობდა და სრულად უგულებელყოფდა შენიშობის გეგმას. ინსტრუქციები ყოველთვის დაკვირვებით მოითხოვდა — დამტკიცებულ ფასადებს არამცდარაჩუქ არ გადაუხევიოთო, ხოლო რა იმალებოდა ამ ფასადებს უკან, ხელისუფლებამ არ აინტერესებდა. საბინაურო პროექტების აღობრებშიც მხოლოდ ფასადები იყო მოთავსებული.

კანონმდებელთა ინტერესის ამგვარი შემოფარვლა მხოლოდ გარეგნული, გამოსაჩენი მხარით, ობიექტურად მიზანშეწონილი გამოიჩინა: მშენებელი საშუალება ეძლეოდათ შენიშობის ფუნქციური მხარე ადგილობრივი მოთხოვნების მიხედვით გადაეწყვიტათ, სავალდებულო ფასადი ადგილობრივი პირობებისათვის მოერკოთ.

არსებული მასალის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ ევოლუციის ასეთი ზოგადი საფეხურები:

1. საუკუნის დასაწყისიდან — შუა წლებამდის მაინც არსებობს ტრადიციული თბილისური სახლები, რომელთაც სიახლე არ შეხებია: დარბაზული და სხვა ტიპისა. 1846 წელს ვახ. «კავკაზის» წერილი გარკვევით აღნიშნავს, რომ ორმოციანი წლების ნახევრამდის დარბაზები საცხოვრებელთა უმთავრეს სახეობას შეადგენდა თბილისში.

2. ათიან-ოციან წლებიდანვე ამათ გვერდით ისახება ახლებური სახლები, აგებული «პრობორებელი» პროექტებით: მათი ფასადები თითქმის უცვლელად იმყოფებს სავალდებულო ნიმუშებს. გეგმის ფუნქციური გადაწყვეტის მიუღო ადგილობრივი სასეციფიკო იმალება ფასადებს უკან. ამას მოწმობს, მაგ., ორმოციანი წლების დასაწყისის ზოგი პროექტი, სადაც გეგმებიდან დართულია ფასადებზე არაფერი არ ამოღებენ სავალდებულო ნიმუშებსაც გადახედვის სურვილს. შეიძენი კი დიდი აივნებია. უკვე ელვია აგრეთვე, რომ უკვე ამ დროს ოთახებში კეთდებოდა კედლის თახჩები და განჯინები: ორმოციანი წლების თახჩებითა და განჯინებით ბევრი სახლია აღმურყილი.

უფრო საფიქრებელია, რომ ეს ტრადიცია უწყვეტად იყო.

ამას გარდა, ამ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა აქვს ბანს: ამას სადა ტურტაშ 40-იანი 50-იანი წლების ხელები, სადაც ახალი ტიპის ორ-სამ საბოლოან სახლებს მახები აქვთ; ამას გვიჩვენებს თვით პროექტებიც: ორმოციანი წლებამდის თბილისის არც ერთი ფასადის ნახაზზე არაა ნაჩვენები მაღალი, ფერდებამანი, საბურავი, სამავიგროდ, ხშირად შენიშობის თავს მალსტრადი (რკულებიანი მოაჯირი) უღლის ვარა. ამასვე ამოწმებს წერილობითი ცნობებიც: ბარონ ტორნაუს თანახმადვე, ოცდაათიან წლებში «თბილისში სახლები ისე იყო მოწყობილი, რომ ქვაფენილზე ფეხის დაუდებელად შეგებლით თელი უბნის შემოღობა... საჭირო იყო მხოლოდ ერთი სახურავიდან მეორეზე გადასვლა». ხოლო მეორე ავტორის ცნობით, «в лучших домах по краям плоских крыш делают балюстрады».


3. ოცდაათიანი წლების მიჯნიდან ფუნქციური გადაწყვეტის ადგილობრივი სასეციფიკო შედარება შენობათა ფასადებზე. არსებითი ელემენტად იქცევა აივნის, რომელიც არა მარტო ეზოს მხარეს კედლებს (უნდა ვიკულისხმობთ, რომ წინა საფეხურის სახლებში, რომელთა გეგმებს ჩვენამდის არ მოუღწევია, ეზოს მხარეს უძებნეს წილად მაინც იყო აივნები), არამედ ქუჩის მხარესაც. აპრობორებელზე ფეხის დაუდებელად შეგებლით თელი უბნის ამ თბილისის მავაფიო ბეჭედს ასევე მას: სწორედ ამ ეტაპზე, ოცდაათიან-ორმოციან წლებში, საბოლოოდ მუშავდება ძველი თბილისის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის ტიპი, რომელშიაც კლასიციზმის ფორმები ორგანულადაა შერწყმული ადგილობრივ შემოქმედებელ ელემენტებთან.

4. ორმოციანი წლების მიჯნიდან, თუმცა ჯერ კიდევ შენდება ამგვარი სახლები, უკვე იჭრება ეკლექტიზმის ტალღა, სასეციფიკური, მავაფიო ინდივიდუალობის მქონე, თბილისური სახლი ერთხანს მაინც ვანაკობობს არსებობას; ზოგ ახალ მანამდის უცნობ, ფორმასა და მოტივებსაც ითვისებს (მაგ. ვაუფლი არქიტექტურის მოტივებს); საშობიანი წლებიდან კი თანდათანობით ადგილს უთმობს სხვადასხვა «სტილით» ნაშენ სახლებს. მაგრამ შენიშობის გეგმა გაცილებით დიდხანს ინარჩუნებს ტრადიციულ ელემენტებს, მაშინაც კი, როცა ფასადებს დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა თბილისური იერი. გეგმა საერთოდ მთელი ამ ევოლუციის მანძილზე უფრო მტკიცედაა დაკავშირებული ადგილობრივ პირობებთან, ვიდრე ფასადი.

ეს განვითარების მხოლოდ ზოგადი სქემაა. სინამდვილეში ყოველი საცხოვრებელი მრავალფეროვნად სურათს წარმოგადგენს როგორც ფასადთა, ისე, განსაკუთრებით, გეგმათა გადაწყვეტის მხრივ: იმავე დროს, უნდა ვგავსოვდეს, რომ ეს საფეხურები სწორმანოვნად, გაუჭინო რეალობივით, კი არ მისდევს ერთმანეთს, არამედ ერთიმეორის გვერდით ისახება და ერთმანეთს თანარსებობს. თუმცა კი საბოლოოდ, ისტორიულ პერსპექტივში, ერთმანეთს უთმობს ადგილს. საუკუნის შუაწლებში თბილისის უბნებში თითხვე მოხსენებული საცხოვრების ნიმუშის ნახვა შეიძლებოდა.

არქივებმა შემოგვინახა XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლების პროექტები 1810-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდის. სწორედ ეს პროექტები გვაძლავს საშუალებას კვლავდაკვალ მივყვეთ ევოლუციის საფეხურებს, დავადგინოთ საცხოვრებელთა სასეციფიკური ტიპები, თვალსა დასაყრდენით სტილის ცვლას. ჩვენ აქ ვურთავთ მხოლოდ რამდენსამე დამახასიათებელი ნიმუშს, მთელი ამ მასალის კომპრეტული განხილვა კი ცალკე დიდი წერილის საგანს შეადგენს.





XII საუკუნის ქართული ხელნაწერის თავსაშავაული

ძველი თეატრალური თბილისის ისტორიიდან

(დედაქალაქის 1500 წლისთვის გამო)

დო. დიმიტრი ჯანელიძე

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



მელთა-ძველ ქალაქს, უბერებელს და მუდამ ახალგაზრდა თბილისს თავისი წეს-ჩვეულებანი, დღესასწაულები, საზეიმო მსვლელობანი, სანახაობანი და თეატრი გააჩნია. დედაქალაქის სანახაობრივი შემოქმედება აღბეჭდილია მრავალსაუკუნოვანი კულტურის თვითმყვანი თავისებურებით, სხვა ხალხთაგან ათვისებული დრმა გადაწყვეტებით და საკუთარი შერწყმის უნარით.

ძველი თბილისის თეატრალურ-სანახაობრივ ხელოვნებაში, საზეიმო მსვლელობასა და დღესასწაულებში გამოხატულებს პოვებდნენ ქართველი ხალხის მიწრაფებანი, მისი გმირული სული, კეთილშობილი ხასიათი, დიდი და თავისებური პლასტიკური კულტურა, მხატვრული სახიერების დახვეწილობა და არტიტული გზებით აღვსილი უნარი სიხარულისა და სიხალისის გამოხატვისა.


ბერეკაობა და ბერიკები. ვაზაფხულის დღესასწაულის ისტატიკი ბერიკები იყვნენ. მათი ქურუმები გამოჩენა, მათი მოედნებზე გამოსვლა მაუწყებელი იყო ბუნების ვაცოცხლები; ისინი ვამოხატავდნენ აწვეწვებული მთავლისა და აყვავილებული ბაღ-ვენახების დამატარებელ სილაშაშეს. ბერიკობა თავისი ტრადიციული ნიღბებით (დათვი, ტახი, ხარი, მკელი) მომდიარეობს განაყოფიერების და შილიერების კულტის საიდლებელ მისტიკურად. ბერიკობა თავისი ხანგრძლივი არსებობისა და განვითარების მანძილზე ჩამოყალიბდა ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრად, რომელშიაც მისი მსახიობები — ბერიკები მზავალი თაობის მიერ დამუშავებული და თაობიდან თაობისათვის უბოიერი გადმოცემით შემონახული სცენარების მიხედვით ჰქონდნენ სპექტაკლებს. სცენარის რაზე ბერეკების ხელი ჰქონდათ წარმოდგენების ჩონჩხი, საბუ სანახაობის მინარეულ ნიღბათა შემადგენლობას, მთავარი სიუჟეტური ხაზის განვითარებას და ძირითად სიტუაციებს განსაზღვრავდა. ყოველივე ამის სიტყვიერი მასალით ხორკშესხმა, შეგება მთლად ერთიანად მოთამაშეთა ნიქსა და უნარზე ყოველ დამოკიდებული. მთელი რიგი სცენების შთანაყვითი მხორად საბერიკო სპექტაკლის მსვლელობის დროს იხადებოდა და ბერიკების განსახიერებით იქვე ხორკის იხამდა.

თბილისი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიანარჩუნა ბერიკობის სიუჟეტების წარმართული ხანის შენარჩუნებაში დათვისა და მგლის კულტი. ნიკოლოზ ბერძენი-

შვილის ცნობით 1854 წ. თბილისში დათვისა და მგლის ნიღბისანი ბერიკობი წარმოადგენდნენ სხვადასხვა სასაცილო სცენებს ქუჩაზე და ართობდნენ მაყურებელს. დროთა ვითარებაში ბერიკობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება და იგი ხალხის ცხოვრების ამსახველი ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრად იქცა. ამ თეატრის მშრომელი ხალხი მახვილ იარაღად იყენებდა სოციალური და ეროვნული ჩაჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაკალი-თად, მოვეყვანი თბილისის სატოსუბანის ბერიკობას. მოქმედნი: ღორი, პატარაძლი, ნეფე (სიძე), მღვდელი, სხვა ბერიკები წვეკლებით ხელში და მესტიერე, ყვილანი თამაშობდნენ. ღორის ნიღბისანი ცნობით გაბრაზებული რომელიმე მაყურებელს ღინჯს ამოკრავდა. შიმღღე (კაცა შენელებოდა). მღვდელი დაიწყებდა ჯერისწერას. შემდეგ ისევ (კაცა-თამაში იმართებოდა, რის დროსაც ღორს ცემას დაუწყებდნენ. ვახილებული ღორი მღვდელს გამოუღვებოდა. მღვდელი წრის გარეთ შეაფარებდა თავს, ღორს ემალეობდა.

სატოსუბანის ბერიკობაში აგრეთვე წარმოადგენდნენ „ტუსალობას“. მასხარას დაპყვავდა ტუსადი და მაყურებელს მოუწოდებდა მას დახმარებოდა. ამას რომ იასული შემხმევდა გაბრაზდებოდა და ტუსასისათვის მფლის შეკრთების აკრძალვას დააბიერებდა. ამ დროს მასხარა თვალით ანიშნებდა: სამიტიტნობისაკენ ვავივლით და იქ დავლითო. იასული მიანებებდა თავს და საერთო ღზინში ჩაერთოდა.

იალის თამაშობა. ვასული საუკუნის 50-იანი წლების მოღვაწემ ნიკოლოზ ბერძენიშვილმა დავეციტობა ძველი თბილისის იმითარი სანახაობის აღწერილობა: ზურნამ რომ დაუტარა, თოთი ახალგაზრდა წამოდგა, ერთიმეორის უკან მოეწყვნენ, თითოეულმა მათგანმა ბაღდადი მხარზე გადაიღო. ერთმა ჯოხს მიჰყო ხელი და მოციკეკვინი დაიფორინა. უმისოლაც მოციკეკვინი, უკვე ზურნის ტაქტს ფიქსეწობილი, წრის ჩაკვით უვლიდნენ. როდესაც წრის რამდენჯერმე შემოუარეს, ბაღდადები გადაპყარეს და მეგრე იმათ სარტყლამდე მიჰყავა, ბოლოს იქამდე მივლიდნენ, რომ ბერანგისამარა დარჩნენ. „უერანგვიც“. — დასამხა მეთაურმა და თან უჯიხთ დასდევდა მათ: „ინდოეთმი ბერანგასაც არ ატარებენ“. ბანზე თამაშობდნენ, თოვად მაგარამ მოციკეკვინი მეთაურს უსტიკყოლ ექორჩილობოდნენ. შემდეგ პირიქით დაიწყეთ, თანდათან იმავე წესით



მესაყვირენი. XII სუკ. ქართული ხელნაწერიდან.

ჩაცმაც დაიწყეს და ცეცეც ამით დამთავრდა, გაშიშვლე-
და, ჯოხით-წვეპლით უკან დევნა, ჯერ გახდა და მერე
ჩაცმა, — ეს ისეთი ნიშნებია, რომ „ილის თამაშობაც“
განაყოფიერების და სკოლიერების მფარველი დღათვის



კვირების საღიბდებელი რიტუალის
წამთად უნდა იქნას მიჩნეული.
პანტომიმოკური წარმოდგენა. მეს-
ტიერემ „ცოლს ყელზე სისხლით
სავეს წელი შემოახვია. უთხრა:
ვაჭრები მოვლენ, მე სტვირის დავუკ-
რამ, შენ დაამღერე. მერე დანას გა-
ვისვამ ყელში, წელს ვაჭრები, სისხ-
ლი გამოვივა, წაიჭეცი, მოიმკვდარ-
უნე თავი, ერთხანს სამკლოვიარ-
ოს დაუყრამ, შემდეგ სამხიარუ-
ლის. შენ წამოხტი, დაიწყე თამა-
შობა. შოვიდნენ ვაჭრები, გაიშალა
სუფრა... მასინძელმა დაუკრა
სტვირი. ცოლმა დაამღერა, ცოლს

გაუკუჯვრდა, კარგა არ მღერიო. მივარდა კანით, ყელში
გამოუსვა, ცოლი დავარდა ძირს, მოკვდა. დახტი
სამგლოვიარო. მერე სამხიარულო დაუკრა. ქალი წამოხ-
ტა, თამაშობდა, ხტოდა, ვაჭრები კინაღამ გადამირივნენ
გაკვირვებისაგან“.

გამოცანების თეატრი-ნაღლი. XIX საუკუნის ცნობი-
ლი აშულის პაზირას მოგონებებიდან: „1874 წ. უკვე გამო-



ჩენილი აშული ვიყავი. ყვახანაში დაგვიდგე დაწერილი
მუღამა (გამოცანა). ძვირფასი შალიც ჩამოვიდგე ზედა,
დავაკარი 25 მანეთი ფული და მოვიწყვიე აშულები საკამა-
თოდ: ვინც იმ მუღამას გამოიცნობდა, ძვირფასი შალი და
ფული იმისი უნდა ყოფილიყო და მე ნაჯობნი ვიქნებოდი.
მთელ სპარსეთსა და ოსმალეთში რაც განთქმული აშუ-
ლები იყვნენ, მოვიდნენ, მაგრამ ყოვლანი დამარცხებულნი
წყვიდნენ“. ახ საღლის თეატრში შესრულებული დილო-
გიც, რაც ი. გრიშაშვილის მიერ იყო ჩაწერილი და გამოქ-
ვეყნებული:

- პირველი აშული: — რა ჰილია ციდან მიწამდე?
— ვინ მშვიდდება ყველაზე ადოლად?
— რა გადაბის ხელიდან ხლში?
მეორე აშული — ციდან მიწამდე ჰკითხა წვიმა.
— ყველაზე ადოლად მშვიდდება ბაევი.
— ხელიდან ხლში გადადის ფული.

დღეოფლების კარავი. თბილისში ხშირად დღეოფლების
კარავს დგამდნენ, სადაც ხალხი თავს იყრიდა დღეოფლე-
ბის (თოჯინების) თამაშის სასიქერად. ან ერთ-ერთი წარ-
მოდგენის შინაარსი: ორ კაცს მოხდის ჩხუბი. ერთი მეო-
რეს ჰკლავს. მიცვალებულის დასამარხავად მოუწოდებენ
მღვდელს, რომელიც მოიღოს შემოსილი. ხელში უჭირავს
კურთხევიანი და საციცხლური. ეს მღვდელი თან საციცხ-
ლურს ატავებს და თან კურთხევას კითხულობს. ამ დროს
მოიღოს მეორე შემოსილი მღვდელი. ეს პირველს იყინებდა,
მოუხუთა ორივე მღვდელს ჩხუბი. აკინებენ და ცემენ ერთ-
მანეთსა. საქმე იქამდის მიდის, რომ ეს მღვდლები მიცვა-
ლებულს იღებენ კუბოდან, ერთი თავში სწებს, მეორე —
ფეხებში. თითქოს მისი გავლუჯა უნდათ. სცენა მით თავ-
დება, რომ ერთი მღვდელი მეორეს მოჰკლავს.

ჩრდილების კვება (ჩრდილების თეატრი). ი. გრიშა-
შვილის ცნობით, თბილისში, შეთანხმების ყვახანების
ზედა სარაულებში, იმართებოდა ჩრდილების თეატრის
წარმოდგენები. „ღარბაზი სრულიად ბნელდებოდა. თეო-
რტილოზე, რომელიც გაკომილი იყო მთელ სენებზე, სჩა-
დნენ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილები. ეს ჩრდილები თანდა-
თან განკვეულ სახეს იღებდნენ, ბოლოს კი საბადე სჩა-
დნენ მინერალური ადამიანები რომელნიც თანაპარკო-
დნენ, ცეკვავდნენ, კომბლებს იქნევდნენ და სხვ. მაგრამ
ესენი ნამდვილი მსახიობები როდი იყვნენ. ამ გადაჭიმულ
ტილოზე აჩვენებდნენ აქლემის ტყავისაგან ან მუყაოსაგან
გამოჭრილ მოძრავ ფიგურებს: ამავე დროს ერთი კაცი,
რომელიც ამ ფიგურებს ამოძრავებდა, ფარდის უკან იდგა
და დამსწრეებს მოქმედი პირობის თავგადასავალს მოუთ-
ხრობდა, — ხოლო სადაც კითხვა-მიგება იყო საჭირო, იქ
კილოს იყვლიდა“.

ყენობა — ერთ-ერთი უძველესი ქართული სანახაო-
ბაა. იგი მთელ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში
იწყოობდა, მაგრამ ყველაზე მრავალფეროვანი, საღლისს-
წაულო და მდიდარი სანახაობით თბილისის ყენობაა გა-
მორჩეულია. ამ ქართულ კარნავალს თავისი წყობა, თავი-
სებური ნიღბები და სახილბო გააჩნდა და მთელი ხალხის
მონაწილეობით სრულდებოდა.

ყენობაში სამი მთავარი დანაშრევი არსებობს: პირ-
ველი საკულტო ცერემონიალებისა და წარმართული მის-
ტერიების გადმონაშთებს შეიცავს (ე. ბარნოვის გადმო-
ცემით, წარსული საუკუნის 50-იან წლებში თბილისის მ-
დამოკლებში ყენების კანკის ძვლი ჰქონდა დაიდებოდა, რომ-
ლის მოძრაობის ის ეროტიული სიქნებს წარმოადგენდა);
მეორე დანაშრევი მოწმობს, რომ წარმართული მითოლო-
გიის წიალიდან გამოსული ყენობა საერო სანახაობად
განვითარებულა და ქართული ხალხის დამყარებლობან
გმირული ბრძოლის გამომხატველად ქცეულა. მესამე
დანაშრევი XIX — XX საუკუნის ნაყოფია და მასში ასა-

ბერიკაობა, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის
მასალებიდან.

ხელა ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა კარიზმის წინააღმდეგ. ყვენაობას თუ უფრო ადრე არა, VI საუკუნიდან მაინც შეთავაზებული ჰქონდა საერო სალაშქრო პატრიოტული მოტივები.

ყვენობა აველიერობის უკანასკნელი დღესასწაული იყო და „შე ორშაბათს“ იმართებოდა. ზოგჯერ ყვენობის წარმოდგენები და მსვლელობანი მთელ კვირას გრძელდებოდა. ყვენობა, როგორც დიდი და რთული სანახაობა, დიდ სამზადისს მოითხოვდა. სამზადისში მთელი ქალაქი დაგებულია მონაწილეობას. ხელოსანთა საამქროები, ფეხვარები, ხუროები, ღურგლები და მჭედლები ამზადებდნენ ნიღბებს, ხის ხმლებს, მუშებებსა და ხახვლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს.

ყვენობის დაწყების დღეს ყველა საეპქრო და სახელოსნო დაეკტილი იყო. ქალაქი საზვიმო სადღესასწაულო სახეს იღებულობდა. ყვენობის დიდ მსვლელობაში მონაწილეობდნენ ხელოსანთა საამქროები თავიანთი ალმებით, ბაიარლებითა და მუსიკით. ხალხი იკაზმებოდა ბერიკული ტანსაცმით, ცხვირებულებს, ფრინველებს და ადამიანის გამოსახვეული ნიღბებით. მთელი ქალაქი გაუფიქრო იყო ორ უბნის ჯგუფად: ერთი იყო ისინი ჯგუფი, მეორე — ნარჩაყალსი. შემდეგში ნარჩაყალსი კრებულს ემხრობოდა ვერის მხრის და ახლად დასახლებული სოლოლაკის უბანი. ისინი კრებულს მხარს უჭერდა ავლაბარი, ჩულოეთი და ვარეთუბანი, ანუ ქუეისი მხარე. ყვენობის მოსაწყობი საქმის ხარჯებს იღებდნენ დიდებულები, მმართველი წრის დიდგვარიანი თავადები და თვით მეფეები. ნარჩაყალის კრებულს მფარველობდნენ: ბაგრატიონ მუხრანელი, ორბელიანი, ბარათაშვილი და ერისთავი, ისინი კრებულს კი — ჭაგჭაგაე, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე და სხვ.

ყვენობის სადღესასწაულო მსვლელობა, უწინარეს ყოვლისა, მეფის სასახლეს მიაღებოდა, დიდი ხმაურით იძახდნენ: „ყვენს სალაშქრო!“ მეფე, ჩვეულებრივ, მსვლელობას სინაორეთი ესალმებოდა და ნიღბებსაც აჯიღებდა და ვერცხლის ფულით, რასაც პირდაპირ ქუჩაზე გადმოჰყრიდნენ ხოლმე. შემდეგ ხალხი გასწვდა ყვენობის კრებულთა მფარველ — დიდებულების სახლებისაკენ და აქაც ნიღბსნები უხვ საჩუქარს იღებულობდნენ.

ყვენობაში ორი მთავარი ნიღბსანი მოქმედებდა: ქართველი ხალხის წინამძღოლისა და საქართველოზე შემოსეული მტრის სარდლისა. ქართველი მეთაურის აღმოსავლი ნიღბი „მეფე“ შესცავლა შემდეგდროინდელმა „რევოლუციონერმა“ და „მეამბოხმა“. საქართველოს დამპყრობელი ძალის მეთაურის გამომსახველი ნიღბი იცვლებოდა და განახლებას განიცდიდა ისტორიული ვითარების ცვლილებასთან ერთად: „კეისარი“, „არაბი“, „ყვენი“, „შაი“.

ჟიუნი უნდა გამოსულიყო ისინიდან და შემოსილია ქალაქს, ყვენი სავანებოდ იყო მორთულ-მოკაზმული. სახე შემორული ჰქონდა. თავზე წოწოლა ქელი ეხებრა. ვირზე ან აქლმზე იჯდა. ხელთ ჭოგრიტი ეყვრა, თან ხის ხმლებით და შუბებით შეიარაღებული ამაღა ახლდა. ყვენი ზოგჯერ სანხთან შეჩერდებოდა, ჭოგრიტით დაუწყებდა დიალოგურებას. თვითონ ხმას არ იღებდა. თარჯიმანი ეუნებოდა მასპინძელს — ყვენმა ამა და ამ მამულით დაგასაჩუქრაო. სანხის პატრონი ხარკს ვაიღებდა. სანახაბისათვის გასამრჯელოს აკრფვას თეატრალიზებული სახე ჰქონდა. მასურებელს ყვენისათვის „სალამი“ უნდა მიეცა ე. ი. გამამრჯელო უნდა გაეღო. ზოგჯერ გასამრჯელოს აღებისას მტრისაგან ქალაქის აწიოკებას წარმოადგენდნენ. აკრფილი „ხარკით“ სანახაბის მოსაწყობი ხარჯებს ფარავდნენ, ყვენობის დასასრულს ქიფს აწყობდნენ და ამავე თანხიდან ავადმყოფებს, დავრდომილ-გაჭირვებულებს და უშეზოთო ქალიშვილებს დახმარებას უწყებდნენ.



მეცნები, XVI საუკ. ქართული ხელნაწერიდან.

თვით ყვენის ტახტი სივდაბალის მალღობზე (ბოტიანკური ბაღის შესასვლელში, ძველი ციხის ნანგრევებთან) იყო აღდგენილი. ყვენს, თავისი ამაღის გარდა, ქალაქის სხვადასხვა უბანში ჯარი ჰყავდა ჩაყენებულად.

„ამ დროს ნარჩაყალს მიმხრენი (ქართველთა მხარე) საიღუმლოდ ამოაღებდნენ თავიანთ ჯარებს, რომელნიც ჩასაყრებულნი უნდა ყოფილიყვნენ სოლოლაკის ხეში. ყვენის მოხელენი იყენდნენ ურ მოკალაქებს და მიჰყავდათ ყვენთან თყებნის საცმად. ყვენის უფლება მთელ ქალაქზე გრძელდებოდა შუადღემდე, ნაშუადღევს ყვენს მოახდებდნენ, ქვეყანა აჯანყდაო, ქართველების ჯარი



სახიობა. აფხეისტყაისნის“ XVII საუკ. ხელნაწერიდან.

სოლოლაკის მადლოზე გადმოდგაო. ყვენი საომარ სამზადისს შეუდგებოდა. ყვენი და მისი დღეოფალი თვის ჯარს გაუძღვებოდნენ. შეტაკების ინსცენირება ეწყობოდა შთაწმიდის სერზე. ბრძოლა იწყებოდა შურდულებით, ქვის სროლით, შემდეგ მოწინააღმდეგენი კრივიზ ჩაებმოდნენ. ზოგი მუშტით იბრძოდა, ზოგი ხის ხმლებით კეცნაობდა. გამარჯვება ნარიყალის კრებულს რჩებოდა. ყვენი თვის მეუღლით ატყვევებდნენ, პირუკულმა სახედრებზე სვამდნენ, წაიყვანდნენ და მტკვარში ყრიდნენ.

ყვენობა და მისი საფინალო კრივი საქართველოში ცარიზმის გაბატონებისთანავე აკრძალული იქნა, მაგრამ ხალხმა თავი გამოიღო თავისი საყვარელი სანახაობის დასაცავად, და მთავარმართებელი ციციანოვი იძულებული გახდა აკრძალვა მოეხსნა. მეფის მთავრობამ მოინდომა ამ დიდი ხალხური სანახაობის შეზღუდვა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ დაყენება. ნიკოლოზ პირველმა ბრძანება გამოსცა: „კრივის ნება მიეცეს ქალაქ-გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტების გარდა, სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს. კრივის თვალყურე უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გახურდებიან“. მეფის მთავრობას ემიზნოდა ამ აშკარა სანახლო პატრიოტული სანახაობისა, კარვად გრძობდა, რომ ეს სანახაობა ცარიზმის საწინააღმდეგო განწყობილებათა გამომსახველი ხდებოდა, და როცა აკრძალვა-შეზღუდვამ არ გასჭრა, პოლიციის მოხელეებმა სხვა ღონისძიებას მიმართეს, მათ მოინდომეს ყვენობის საპოლიციო დანიშნულებით გამოყენება. პოლიციამ თბილისში 1854 წელს სცადა მოეწყო ყვენობა, რომელიც ცარიზმის ლაშქრობის ძლევამოსილების გამოხმა-

ტელი იქნებოდა. მაგრამ მან არა თუ ვერ მიაღწია თავის მიზანს, არამედ ყვენობაში თანამედროვეობის შეტანით ხალხს საშუალება მიეცა სრულად გამოეხატა თავის სიძულვილი მეფის მტარვალობისადმი. ყვენობით დაიწყო მეფის უნიჭო მოხელეების გამასხარავება. ყვენის მაგვირად მეფის ჯანდარმა პოლკოვნიკი დასვეს, წარმოადგენდნენ მეფის ჩინოსან-მოხელეთაგან ქალაქის აწიოკებას, ხალხის დარბევას, დატყვევებას და გაციმბირებას. მეფის უსამართლობის, მტარვალობის ნიშნად ყვენობის მსველეობაში საბრძოლველი გამოიტანეს და ბოროტმეყერილი ტუსადეში წარმოადგინეს. ცხადია, ასეთი ხასიათის ყვენობას მეფის მთავრობა ვერ შეურიგდებოდა. და იგი აკრძალულ იქნა, ვითომ იმ საბამით, რომ კარნავალები მოძრაობას აფერხებენ ქუჩებზე. აკრძალვა უნდა მომხდარიყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. რაკი რევოლუციური შინაარსის ყვენობის მოწყობა თბილისში აღარ ხერხდებოდა, იგი გადაიტანეს ცენტრის დაცილებულ ადგილებში. 1897 წელს ყაზბეგში მოეწყო რევოლუციური შინაარსის ყვენობა, რომელშიაც გამოხატული იყო რევოლუციონერების ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

თბილისის ორთაშუაში მალოლად მართავდნენ ხოლმე ყვენობას, მაგრამ რადან წინანდებური კრანდიოზული ელგერი აღარ ჰქონდა, მას „ყვენობის კული“ დავრქვა. ზოგჯერ „ყვენობის კული“ გამართვის ნებართვასაც დებულობდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში სანახაობას აუცილებლად პოლიციის მოქაულები უნდა დასწრებოდნენ, რათა წესიერება ყოფილიყო დაცული. ერთ-ერთ ასეთ ყვენობაში 1894 წ. თვით ილია ჭავჭავაძესაც მიუღია მონაწილეობა.





სტალინის სახელობის სანაპირო. ქსილოგრაფია
მხატვარ ნ. ჩერნიშკოვისა

თბილისის კვიჩაძეები



ლენინის სახელობის მოედანი წვიმიან დღეს, ქსილოგრაფია
მხატვარ ნ. ჩერნიშკოვისა



სანაპირო ქუჩის ერთი კუთხე (ქსილოგრაფია)
მხატვ. ნ. ჩერნიშკოვისა




თბილისის სტადიონი წვიმის
შემდეგ (ზეთი) მხატვ.
მ. ხეიტასი




ვ. ჯაფარიძე

ძველი თბილისი აკვარელი



ძველი თბილისის კუთხე (ფანჯარი) ნახატი
მხატვ. ვლ. კეზელაიანი



გმირთა მოედანი სალიეტის დროს (ქსილოგრაფია)
მხატვ. ნ. ჩერნიშკოვისა



ძველი თბილისის კუთხე (ლითოგრაფია)
მხატვ. შ. ცხადაძის

თბილისის საკვიპაჟო მხატვრობაში

დიმიტრი გორდევი



ბილისის ათასხოვნი წლისთავმა და საიუბილეო მხარეებმა გააძლიერა საქართველოს დედაქალაქისაში ინტერესი როგორც შინ, ისე გარეთ. გამახვილდა ინტერესი მისი დარსყენისა და მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისადმი, კერძოდ, ყოველივე იმისადმი, რაც ისტორიულ ქართველებს გადაუარა. გაცხოველდა უძველესი ძეგლების შესწავლა, მათი გახსნა (ვათხარა-გაუქმნა), შეკეთება-გამაგრება. ფართო მასშტაბით გაძლიერდა მისწრაფება გაიგოს, თუ როგორ გამოიყურებოდა თბილისი თავისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, როგორ მიმდინარებდა მისი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში და ა. შ. ამ პოპულარული ნარკვევის და მასზე დართული ფრიად მცირე სალიუსტრაციო მასალის ამოცანა ნაწილობრივ მაინც გასცეს პასუხი ამ კითხვებს, ვინაიდან საკურნალო წერილის ფარგლებში არ შეიძლება ამოიწიოს ჩვენი ნარკვევის თემა, რომელიც შეედავრკველია და მრავალწახანაგვიანია, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ საკითხს, თუ როგორ გადაწყდა იგი ბიუჯეტი და საყარო სურათები.

საქართველოს სახვის ხელოვნებაში პიუზაჟის ჩასახვის და განვითარების შესწავლის პრობლემა, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ შეეხები უკანასკნელი დროის ჩვენი მკვლევარები-ხელოვნებათმცოდნეები, ჯერ კიდევ საკითხებს ფართოდ დაყენებულ და ვაშლივ ცვლელ-ძიებებს. გამოსაკვლევი და შესასწავლია არა მარტო ისტორიკოლოგურმატივის ცვლის დროს, არამედ უფრო ვიწრო ეპოქებში მოხდარი იდეოლოგიური ცვლილება-გარდატეხანი, რომელთა შესწავლა მოითხოვს ხელოვნებისმცოდნე მკვლევარების დაკვირვებულ და ინტენსიურ მუშაობას. ამასთან მხედველობაშია მისაღები ის სამწუხარო ვარემოება, რომ ევროპოვადებული საგრო ხელოვნების ძეგლების დიდი უმრავლესობა დაიღუპა, რომ მილიანად შევრდებით არ არის წინა-კამბიტისტური ფორმაციების, ნაწილობრივ, გასული საუკუნისაგან შემორჩენილი სასაკულტო მემკვიდრეობა.

არ ვიცი, რას გამოარჩევს მომავალი ძიება, ჯერჯერობით დადგენილია, რომ შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელმა იდეალისტურ-რელიგიურმა მსოფლმხედველობამ თავისი კვალი დააჩნია, თავისი ტიპური დიდი დასაო ამ ფორმაციის ქართულ ხელოვნებას. ამიტომ მასალა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად ძალიან შეკვეცილია. ძალიან მცირე იმედო არსებობს, რომ მომავალში იგი შეივსება და უფრო გაძლიერდება.

თუ როგორ გამოიყურებოდა საქართველოს დედაქალაქი თავისი არსებობის პირველ საუკუნეებში, ხაზართა შემოსების და ბიზანტიელი იმპერატორის ირაკლიუსის მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ, ამის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვიგარაოდით წერილობითი წყაროების მიხედვით. ამ პერიოდისა და მოწინააღმდეგე დანამდვილებით ვადარა ე. წ. ანთისხატის ეკლესიის ნაწილი, რომლის გადრამატული გამოკვლევა ამაჟამად მიმდინარეობს.

მას წინ თბილისი გადაიღეს არაბთა ხელში. აქ წარმოშობილია არაბთა საამიროს იარსება თითქმის ვერ-12 საუკუნის პირველ მეოთხედამდე. ე. ი. მანამდე, ვიდრე დაიბო ალმამუნებელმა 1122 წელს თბილისი უკანვე არ დაიბრუნა და თავის სატახტო ქალაქად არ აქცია. თუ რას წარმოადგენდა და როგორი იყო თბილისი არაბთა ბატონობის წლებში, ამის შესახებაც ჩვენ ვიცი არავითარ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი წყაროებით.

დაიბო ალმამუნებლის მმართველობიდან დიდი თამარის ასული—რუსუდანის მეფობის დრომდე გასული დრო უმკველად იყო ქალაქის აღორძინების და ახალი აყვება-გაგორჭქების პერიოდი. წერილობითი წყაროების გარდა, ამას მკვერმტყველურად მოწმობენ, ქალაქიდან უფრო დამორებული ნაგებობები; რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ისეთი ახლომდებარე საგარეუბნო მონასტრები, როგორიც არის ბეთანია კარვად შემონახული კედლის მხატვრობით, კოჯრის კაბენი (დაცულია მცირე ტაძარი, ხოლო შესანიშნავი მთავარი ეკლესიის ნანგრევები ცნობილია ჩანახატებით და ფოტოსურათებით), ლურჯი მონასტერი (ამჟამად თითქმის ქალაქის ცენტრში მოქცეული), რომელიც XII საუკუნის ბოლოში და XIII საუკუნის დამდეგს არის აშენებული და მალაღი სამშენებლო და მხატვრობა-არქიტექტურული დონით გამოირჩევა. უნდა ვიფიქროთ, რომ თვით დედაქალაქში მშენებლობა ასეთისა მალაღი დონეზე სწარმოებდა.

უდიდესი უძველურად დაბატდა თავს მიელს ქვეყანას, განსაკუთრებით, მის დედაქალაქს თბილისს, ხორაზმელებმა და მონგოლების შემოსევის შემოდანის მეფობის წლებში (1222-1245 წ.) ქართველების მხრივ შეუპოვარი წინააღმდეგობის გაჭიის შემდეგ, სულთან ჯალალედინ მან-გუბრატის ლაშქრის მიერ შემუსვრილმა თბილისმა 1225 წელს დიდი ზრტვე განიცადა. 1231 წელს სულთანმა დასტოვა ქალაქი მეტად მძიმე მდგომარეობაში. დიდი ხანი არ იყო გასული მის შემდეგ, რაც ჯალალედინმა დასტოვა საქართველო, რომ იგი სასტიკად დაამარცხეს მონგოლებმა, რომლებიც საქართველოსაკენ დაიძინენ. ცნობამ მათი მოახლოების შესახებ აიძალა რუსული, ვიდრე თბილისის დასტოვება, გაეცა ზრძინაზე ციხესი და წაყივრებით ქალაქის ნაწილისათვის (ისინი სიხის) და დაეცხრათ ციხე-გარდაჯანი იმ მოსახრებით, რომ მონგოლებმა თბილისში დიდი ხნით დარჩინის შესაძლებლობა ადკვეთიდათ. ჯერ ხორაზმელია ბრევა-თარემა, შემდეგ რუსუდანის და სასოწარკველია ლონისძიებამ მიწის პირისკან აღგავა მომწოდებელი შუასაუკუნეების ძეგლები. თუ ამაჟამად ვერაზე კიდევ არსებობს ლურჯი მონასტერი გადარჩენილი ნაწილი, ეს აისხნება იმით, რომ XIII საუკუნეში იგი ქალაქზე გარეთ მდებარეობდა.

წერილობითი ცნობებით ირკვეა, რომ ჯალალედინის მიერ თბილისის განადგურების კამს სიონის ტაძრის ჩაუნგრების გუშპაით, XIII საუკუნეში ამ შენობას უფეე ადარ აქონდა თავისი პირანდელი—ბაზილიკის ფორმა. ტაძრის ახსნადელი გუშპაით შესწავლა, ტაძრისა, რომელიც სანაწიანისა და ცენტრალურგუმბათიანია, ხოლო აღმოსავლეთის განაშტე სამი წინგამოშვერილი აბსიდა აქვს. ტაძრისა, რომელიც თავისი გუშპაით ძალიან უახლოვდება დაიბო აღმამუნებლის მიერ აგებულ გელათს, ვაკალეს სალოტალის ეს გუმბათიანი შენობა მიეკუთვნოთ საკულტო ნაგებობათა იმ ტაოს, რომელიც მომწოდებელი შუასაუკუნეების საქართველოში გამოიშვარდა, და რომელიც საეკლეია XII საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე წარმოშობილიო. თბილისის სიონის გუმბათიანი ტაძარი, რომელიც XIII საუკუნეში დაზინდა, არა ერთხელ ეწვა აღდგინილი და გადაკეთებული, ვიდრე XVIII — XIX საუკუნეებში დედანდელი სახე არ მიიღო.

XIII ს. მიერე მოთხოვნით დატარიალებულმა სამწინელმა ამბებმა, რომლებმაც ასე სასტიკად იმოქმედეს თბილისზე, მაინც ვერ გასტეტეს მისი სული, ვერ მოდრეკეს



გ. ჯაფარიძე

სახლი აბას-აბაძის მოედანზე, აკვარელი

მისი სიცოცხლისუნარიანობა. ი. ა. ორბელი და მის კვალზე ლ. მ. მელიქსეძე-ბეკი ციხის დიდი საყაროს აგებას დაახლოებით 1201 წლით ათარიღებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისმა ნანგრევებისაგან აღდგენა-აღორძინება იწყოს, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში მეფე დიმიტრი თავდადებული თლილი ქვისაგან აშენობს მდიდარი ჩუქურთმით შემკულ მეტეხის ტაძარს, რომელიც ასე თუ ისე თბილისში კარგად შენახული საკულტო შენობებიდან, სიძველის მხრით მესამე ძეგლს წარმოადგენს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს მიერ გადატანილ რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვან განსაკუთრულ, შემდგომ სახელისწირო რისხვას საქართველოსა და

თბილისისათვის წარმოადგენდა თემურლენგის (თამერლანის) ლაშქრობა, რომელიც თავს დაატყდა ქართველ ხალხს XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისს. განადგურება-გაპარტახების ეს ეპოქა, რომელმაც თავისი შემაზრუნენი კაალი დასტოვა სხვა ხალხების ცხოვრებაშიც, როგორც ჩანს, იქცა უკანასკნელი გარდატეხის მიუხედავად, რომელიც გავლენა შეასაუკუნეების და ფეოდალიზმის უკანასკნელი საუკუნეების თბილისს შუა.

როგორც ცნობილია, ჩვენს დრომდე მოღწეული წყაროების სილატაკის გამო XV ს. და ნაწილობრივ XVI საუკუნე ვეულაზე ბნელ ეპოქად არის მიჩნეული მთელ ნაგებინებ შესასუკუნეებში.

სეფიდეების ლაშქრობის პერიოდში შესცვალა მშვილობამ, რომელიც როსტომის მეფობის (1632—1658 წ.) კამს დაიწყო. როსტომმა და მისმა მემკვიდრეებმა — ქართლის და კახეთის მეფეებმა დასტოვეს არა მარტო კაპიტალურად შეკეთებული ძველი ნაგებობანი, არამედ მრავალრიცხოვანი ახალი შენობები, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში,

ქმინდნენ ძველი თბილისის გადარჩენილი უბნების გარეგნულ სახეს. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მიღებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც წარმოდგენილი არიან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის და ამავე საუკუნის შუაწლების ძეგლებით — ე. ი. სახლებით, რომლებიც აგებულ იქნა ალა მამამდა-ხანის მიერ თბილისის დაბრუნების შემდეგ, რომელსაც გადაურჩნენ მხოლოდ საკულტო შენობები და ნაწილობრივ მოწინააღმდეგე „საირო“ ნაგებობანი. სწორედ, XVII — XVIII საუკუნეებში გაშენებულ თბილისს ვხედავთ ჩვენ ძველ გრაიურებზე.

იმ დროს, როცა დასავლეთს, დაცულს აღმოსავლური ქრისტიანული ქვეყნების ბუფერით, რომელიც გუნას უღობადად მომთაბარე ტომთა შეშლისევეს, შექმლო განვითარებინა მომწინაველები შესასუკუნეების კულტურა, შექმლო XIV-XVI საუკუნეებში შექმნა კაცობრიობის ისტორიაში უსოღენ შენანიშნავი აყავიბული კულტურა რენესანსისა, საქართველო ამ საუკუნეებში მეტად მძიმე გასაპირის განიცდიდა. მაშინ, როცა შეცვლილი ეკონომიკის საფუძვლიზე ევროპის ხელოვნებაში თანდათან ხლიბა ძირული შემობრუნება ე. წ. ახალი დროის ისტორიისაკენ, ახლო აღმოსავლეთი ჯერ კი-



გ. კეშელაძე თბილისის პეიზაჟი, ლითოგრაფია

დეე არ გაშორებია თავის შუასაუკუნეებს. ბაზისის ასეთი მდგომარეობა გაკლენას ახლენდა ზედნაშენზე. და თუ რეალიზმის გზაზე შეიძლება დასავლურ ხელოვნებაში ჩვენ ვამჩნევთ განრების ნაირნაირ დიფერენციაციას, მათ შორის განვითარებას პეიზაჟისა, რომელიც თანდათან ითიშება სხვა ანარებს და დამოუკიდებელი ხდება, ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც ცოტა თუ ბევრად ვანიცაილდნენ დასავლეთის ზემოქმედებას, ინარჩუნებდნენ ხატდამწერლობის პირობითი პეიზაჟის ძველ ტრადიციებს. უცნაურ ფანტასტიკური ფორმების სქემატური არქიტექტურისას, რომელიც თანდათან და ძალიან ნელა ფიქს იცილებდნენ მხატვრის გარემომცველი ხუროთმოძღვრებიდან, განსაკუთრებით. ახალი ხუროთმოძღვრებიდან აღებული ელემენტები. ამიტომ არის, რომ ასე ძნელი ხდება შერაიება და ბოლომდე გამოკლავა რეალიზმის ყლორკობისა ქართულ ხელოვნებაში, კერძოდ თეოსოფიზმის უკანასკნელი საუკუნეების პეიზაჟში. თომცა ჩვენთვის ცნობილია უკრ კიოდა მითარამიკე საუკუნეში ადგილობრივი ოსტატების მიერ რეალურად არსებული შინობების (მაგალითად, სვეტიცხოველის სივრძითი ფასილის გამოსახება თვით „სვეტის“ მხატვრობაზე გულჯავარი-შეილის მიერ) დახატვის პირობითი ცდები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არ არის ამ დროისა და მით უფრო ადრინდელი თბილისის გამოსახულება, შესრულებული ადგილობრივი ოსტატების მიერ. ამიტომ გვიხდება ჩვენ მიმოხილვის დაწყება ევროპელი მოგზაურების მიერ შესრულებული სურათებით, რომლებიც დროული აქვთ XVII და XVIII საუკუნეებით დათარიღებულ მათ აღწერილობებს.

დღემდე ცნობილი სურათებიდან, ყველაზე ძველი ისტორიულად სწორი და რეალისტრად ნერსულებული გამოსახულება თბილისისა გეუტენის XVII საუკუნის ფრანგ მოგზაურს ჟან შარდესს, რომელიც საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა 1673 წელს. კეთილსინდისიერად, მაგრამ ნატურთან რამდენადმე გულუბრყვილოდ შესრულებულ და გრავიურაზე გადატანილ ჩანახატებს შორის (რომლებიც ტაბულებად დართული აქვს 1688 წელს თვით მარდენის მიერ და შემდეგ არაერთხელ გამოცემულს „მოგზაურობას“) ვხვდებით ქალაქის საერთო ანოირამულ ხედს, რომელიც დახატულია ავლაპარკე უფრო მაღალ მდებარე მტკვრის მარცხენა ნაპირის მალობებიდან. ეს პეიზაჟი, რომელიც ფრანგ მოგზაურს გაკეთებული აქვს ქალაქის აღწერილობის ილუსტრაციად, თავისუფალი არ არის ერთგვარი პირობითობისაგან, ისახავს ტოპოგრაფიულ მიზანს და სრულიადც არ აქვს პრეტენზია გადმოცეცს ადგილობრივი ლანდშაფტის მხატვრული თავისებურება და ინდივიდუალური ხასიათი ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლთან დაკავშირებით, და მაინც ნახატის რეალისტური საფუძვლის მეოხებით ამ გრავიურაზე გზადვთ საკმაოდ ცოცხლად და ვასაგებად გადმოცემულ თავისებურ სახეს ჩვენს ქალაქისა, რომელიც მტკვრის ზემოთ წარმტაცად გაკვირულია.

სულ სხვა ხასიათი აქვს 1717 წელს გრავიურის სახით გამოქვეყნებულს თბილისის ხედს, რომელიც მოთავსებულია ჟოზეფ ფონ ტონტურნე ფორის წიგნში „ანგარიში აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ“. სფრანგების მეფის ლუდვიკი XIV დავალებით, გამოჩინებულა



1. დ. გუელსიანი

ძველი თბილისის კუთხე


2. ვ. ბელუცკიას

სასტუმრო „თბილისი“



ჯ. კაკაბაძე თბილისის გარეუბანი. აკვარელი

ფრანგმა ბოტანიკოსმა ტურნეფორმა მიაწყო მოგზაურობა აღმოსავლეთში (საბერძნეთი, თურქეთი, კავკასია), კერძოდ, ეწვია საქართველოსაც. მსგავსად შარდენისა, რომლის თხზულებითაც ტურნეფორი სარგებლობდა, ფრანგმა ბოტანიკოსმაც დავიტივია ქალაქის ძვირფასი აღწერილობა ზედღართული საერთო ხედვით, რომელიც შესრულებული უნდა იყოს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან,



უფრო სწორად, ყოფილი მადათოვის კუნძულიდან. ბევრად უფრო არტიტულად და ფაქიზად შესრულებული, საკმაოდ სწორი შექირდილით აღმგებლილი ეს გრავეურა, ერთი შეხედვით, არ შეიძლება არ მიეწონოს მნახველს. მაგრამ ნახატი, საერთო ხაზების და დეტალების მიხედვით, სრულიადაც ზუსტი არ არის, იგი გასწორებული და ალაგ-ალაგ შევსებულია მხატვრის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, ცდილობდა „წეროდა“ შეეტანა „კომპოზიციამში“. ძველი თბილისის სწორი გამოსახულების აღდგენისათვის შარდენის და ტურნეფორის გრავეირები უნდა შეუპირისპირდეს საქართველოს დედაქალაქის შესანიშნავ გეგმას, რომელიც დართული აქვს გამოჩენილი ქართველ მეცნიერის—ვახუშტი ბატონიშვილის შრომებს და ასახავს მე-18 საუკუნის ოცდაათიანი წლების (დაახლოებით 1735 წ.) თბილისს. ჯერ კიდევ ძველებური მანერით—ნახევრად ბირობითი ნახატით შესრულებული ეს გეგმა იძლევა წმინდა ტოპოგრაფიულ ცნობებს, მაგრამ ამასთან იზიდავს მნახველს თავისი მხატვრული ღირსებით—ხელწერის გრაფიკული სახიანობით, მოფიქრებულ კომპოზიციით, ფერადოვანი შეწყველობით.

შემონახულია კიდევ სერგეევის გრავეურა, რომელიც თბილისს წარმოგიდგენს ქალაქს ეკვმით მდებარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან. ძველი თბილისის და მისი ისტორიის ისეთი მცოდნის და სპეციალისტის აზრით, როგორც ნ. ი. ბაღრიანი, ეს ხედი უნდა ასახავდეს დედაქალაქს ალა მაჰმად-ხანის შემოსევამდე (ე. ი. 1795 წლის შემოღობვამდე). ისტორიული თვალსაზრისით ეს გრავეურა კიდევ საჭიროებს სპეციალურ დამატებით გაუმოკლებებს. მხატვრულობის თვალსაზრისით კი ის საერთოდ ტიპური წარმტაცი ხეილა შესანიშნავი ქალაქისა ოსტატურად, მაგრამ XVIII ს. და XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეიზაჟური ფიქსაციების გემოვნების შესაბამისად საკმაოდ შაბლონურად არის შესრულებული.

შარდენის, ტურნეფორის, ვახუშტის და ალბათ, სერგეევის მიერ ასახული თბილისი ერეკლე II მეფობის დასასრულს მიერანელმა შაჰმა იმდენად დაანგრია და გაანადგურა, რომ მეფე იძულებული გახდა გადაეტანა თავისი რეზიდენცია თელავში, სადაც გარდაიცვალა კიდევ. XVIII საუკუნის მიწურულში (ერეკლე II და გიორგი XII დროს) ქალაქმა იწყო აღდგენა ფერფლიდან, ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტში ღებოდა. როცა გიორგი XII სიკვდილი (1800 წ. 28 დეკემბერს) შემდეგ, 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა, თბილისი იქცა ჯერ აღმოსავლურ საქართველოს, შემდეგ სამხრეთ კავკასიის სხვა რაიონებში და ბოლოს თელი კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრად. თბილისისათვის დაიწყო ახალი პერიოდი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში და შუაწლებში ქალაქი ძირულად იცვლის სახეს. მიმდინარეობს მისი აღდგენა და ხელახალი განაშენიანება რუსულ-ევროპულ ყაზიხაზე. მაშინდელ თბილისში ჩამოყალიბებული მეტად თავისებური ცხოვრება აიძულებს შეცვლეთებს და შეხერხებულებს არა მარტო რუსეთიდან და ევროპიდან შემოტანილი მზამზარეული ნიშნუებით ისარგებლონ, არამედ შექმნან ადგილობრივი არქიტექტურული ფორმები, რომლებმაც ფართო და ღრმა ზემოქმედება იქონიეს მთელს მხარეზე.

ამ პრელექტორ ვითარებაში, სადაც ერთმანეთს ხედებოდა, ურთიერთში ირთოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი, თანდათან იზადებოდა ახალი ადგილობრივი კულტურა. მის განვითარებას თან ახლდა არა მარტო სირთულე, არამედ ხშირად წინააღმდეგობრიობაც, რამაც კერძოდ, სახვით ხელოვნებაშიც იჩინა თავი. ფეოდალური ფორმაციის ამ უკანასკნელ ეტაპზე ფესვს იკიდებს და ძლიერდება მისივე წიაღში შობილი კაპიტალიზმი.

ჩვენი ნარკვევის ამოცანას არ შეადგენს დავხატოთ სურათი ამ რთული ცხოვრების, სადაც ურთიერთთან თანარსებობენ შუასაუკუნეების საეკლესიო კვლავის მხატვრობა (ანჩისხატი, სიონის ტაძარი და სხვ.), ქტიტორული და საოჯახო პორტრეტი, ძველი კუსტარული ხელოსნობის ნიმუშები, ხელოვნების ახალი სახეობები და ფორმები, რომლებიც უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოახლოებას მოსწავებენ.

როგორც წინათ — XVII და XVIII საუკუნეებში, თბილისში ჩამოდიან განათლებული მოგზაურები, რომლებიც სტოვებენ ქალაქის ცოტად თუ ბევრად ძვირფას აღწერილობას და მისი ხელების ჩანახატებს (დიუბუა დემონ პერეს ალბოში და სხვ.), მაკარამ ამასთან ერთად (ეს ხაზგამათი უნდა აღინიშნოს) ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც მომადლებული აქვთ ნიჭი — მხატვრის თვალთ დაინახონ და იკრიბონ თბილისის ჭრელი ცხოვრების მკვეთრი თავისებურება და განუმეორებელი მომზალობა. უკვე რუსი მხატვრის სერგეევის გრაფიურა გაცოცხლებულია ქაზრთის სცენით და პირველი ახალისი ხელოვნებატული ტიპაჟით, ეს ტენდენცია — ქალაქის საერთო ხედის ან მისი რომელიმე კუთხის მოცემა დამახასიათებელ პერსონაჟებთან ერთად, წარმოშობა და განვითარება ადგილობრივი კოლორიტული ჟანრისა, რომელიც ასახავს მხატვრის მოსაწონ მოტივებს, ხდება ერთერთ წამყვან თემად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაკარინს. ამ დიდად განათლებულმა, ნიჭიერმა და მრავალმხრივმა მხატვარმა, როგორც ფაქიზი გენცის ხელოვნება, დაინახა და აღბეჭდა კავკასიის, კერძოდ, თბილისის თვითყოფი, თავისებური სილამაზე. რომანტიკული ხეობით მოცული მისი ჩანახატები მოწმობენ, თუ რამდნად გატაცებული და მოხიბლული იყო მხატვარი მის თვალწინ ვადაშლილი ცხოვრების თავისებურებით. ისეთი ფურცლებით, როგორიც არის „მაიდანის ანუ შაითან ბაზარი“ (შეტების ციხის და დარეჯან დედოფლის დარბაზის ხელით) ან „ქეიფი ორთაქალის ბაღებში“, სახელოდ დარჩება ეპოქის მკვეთრ გამოსახულებად. რასაკვირველია, არ უნდა დავავიწყდეს ის, რომ ვაკარინი, როგორც თავისი დროის შვილი, თან ატარებს წარუშლელ დიდს საერთო აკადემიური სტილისას, რომელიც დამახასიათებელი იყო ნიკოლოზ პირველის დროინდელი არისტოკრატიული ხელოვნებისათვის.

ისტორიის საერთო მსვლელობით მომზადებული და ყირიმის კამპანიის მარცხით დაჩქარებული დამხობა ნატონყმური წყობილებისა, და დადგომა ახალი ფორმაციისა, საზოგადოებაში აღვიძებს იმის შეგნებას, რომ აუცილებელია ვარდაქმნა იდეოლოგიურ ფრონტზედაც. რუსეთის მოწინავე მხატვრები ეძებენ ახალ გზებს. ისახვენ ახალ ამოცანებს. თბილისის მხატვრული ცხოვრებაც მიჰყვება ამ საერთო ტენდენციას. თუ XIX საუკუნის შუა წლების, მით უფრო, ამავე საუკუნის მესამე მეოთხედის ქართულ ლიტერატურაში არა თუ ისახებოდა, არამედ უკვე ნაყოფიერად ვითარდებოდა რეალისტური მიმართულება, სახეობის ხელოვნებას ამ მხრივ რამდენადმე დაყოვნება დაეცყო.

თბილისის მხატვრობის განვითარების შეფერხება გამოწვეული იყო მხატვრული ცენტრებისაგან მისი დამორბეობაც. „მეკვეცილი რეფორმების“ წყალობით ცარიზმმა შეუნარჩუნა რა ფეოდალურ ზედაფენას წოდებრივ-კლასობრივი პრივილეგიები, დასტოვა იგი ხელისუფლების სათავეში. მათ წრეში, ასევე ბურჟუაზიის ზედაფენებში ძველი არისტოკრატიული-იდეალისტური ხელოვნების ტრადიციები განავრცობდნენ სიცოცხლეს XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც.

მე-19 საუკუნის თბილისის პარადულ და დეკორატიულ



3. ვაკარინი

ქალაქი ცეკვა

ლითოგრაფია



გამოსახლებათა ჯგუფს მიეკუთვნება ი. კ. აივაზოვის კისი იგიეთი სქიზი (18ხ წელს დაწერილი). გამოჩენილმა მარინისტმა აილი ფელს ქალაქისა მტკვრის ქვემო წელის მარჯვენა სანაპიროდან. თავისი პატარა ძალიან დეკორტივი სურათი მხატვარს მოუხაზავს ზოგად და საკაოად დაუდევრად; მიუმართავს ნაუცხვარად სწრაფი მოხასხებისთვის, როგორც ჩანს უდიდს „თბილისის მოტივზე“ შემქნა ძვირფასი და ბრწყინვალე გასართობი დეკორატიული ნივთი რომელიდაც მდიდარი ბურჟუაზიული ანსამბლის დასამშვენებლად. ამ დიდი ხელოვნებისათვის ჩვეული მომხიბვლელი სიმსუქუბით და ბრწყინვალეებით შეიკრებილებოდა ეს ცხოველხატული პეიზაჟი, თავისი მხატვრული ღირსებით, მაინც შორს ჰქონდა აივაზოვის საუკეთესო, მტკვრად, აღრიცხვით ნამუშევრებსაგან, რომლებიც არა მარტო დიდი ისტატიკობა და გუმბორდინებით არის შესრულებული, არამედ ამასთან აღმკვიდრია ცხატვის ღრმა გრძობით და სხვადასხვაგვარი განცდებით. აივაზოვსკიმ, რომელმაც ხანგრძლივი, დაუცხრომელი შრომით აღსავლეს ცხოვრების ზეა დაიარა, რომელმაც მხატვრულ ვახატულმა ნიჭილობამ ღრმის მიიღო და ამავე ხანებში შეიმუშავა თავისი ესთეტიკური მრწამსი, იმ დროს შექმნილი ცოდნა, გამოცდილება და მიღებული ბანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის თავის შემოქმედებაში გადაიტანა. ამიტომ არ შეიძლება აივაზოვის ამ ესკიზის მოვთხოვთ ეპოქის გრძობის ღრმად ვადმოვიკმა ას სიზუსტის დაცვა ტოპოგრაფიულ და ისტორიულ დეტალებში.

შემკვეთის „კეთილშობილური გემოვნების“ მიხედვით შექმნილი, პარადული, ცხატად თუ გვიგად იდეალიზირებული და „გალამაზებული“ ხელოვნების ნიმუშია დიდი ტილო (1879 წ.) მხატვარ ფრანკენისა, რომელიც ერთხანს საქართველოში ცხოვრობდა. კომპოზიციურად კარგად გაკეთებული, პრაფისული ისტატიკობით დაწერილი ეს დიდი სურათი შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდევ მდიდრული დეკორატიული ფუნქციებით მორთული დარბაზის სურათი ანსამბლის. ამ სურათში თბილისის ხეილი („ძველი თბილისი“, როგორც ახლა მას უწოდებენ) ემშებტრად არის ხანგრძლივი ქალაქს ეკვმით მდებარე მტკვრის სანაპიროდან, რომანტიულად აღმართულან ციხე-კოილის ზღუდეთა ნანგრევები, რომლებიც ახალი ისტორიული ვითარებაში გამოუყენებლად ნაშთად ქცეულან და მხოლოდ მშფოთარებით აღსავლეს ქარიშხლიან წარსულს ვახსენებენ). ციხეგალანისი მითის ძირში და ფერდობებზე მიყუდებული ძველი ქალაქის ნაწილი; სურათის მესამე პლანზე მოსანს სიშორის ბურუსში ვახვეული ახალი ქალაქი, ხოლო მის იქით უფრო შორს — მთის პეიზაჟი. პირველ პლანზე ადგილობრივი დამახასიათებელი „ეკოლოგიური“ ნაგებობანი და ადგილობრივი მკვიდრნი შეადგენენ ანარობრივ სცენას. სადაც გამოიყოფილი მხატვრის მიერ შეარჩეული აქტორები წარმოგიდგინებენ განსაკუთრებულ და დარბილთა კვარტალის მკვიდრთა თითქოს „მდინერი ცხოვრებას“. სურათში ყველაფერი გაზომილ-განაგარიშებულია და მოთავსებულია სათანადო ადგილზე, ხოლო ის, რაც, მხატვრის შინაგანებით, „საქიროს არ იყო“, მოცილებულია, ვადამუშავებულ ან გაღალამაზებულია. მხატვრისთვის მთავარია ის, რომ საერთო შთაბეჭდილებამ და დეტალებმა მომთხოვნ მნახველში აღძრას „სასიამოვნო“ განცდები. რა თქმა უნდა, არაფერი „დავარცხნილი“ არაა, მხოლოდ „თიქსირიკებული“ სურათი შეიძლება გამოდგას ისტორიულ მასალად, მაგრამ მკაცრი კრიტიკული განხილვის შემდეგ.

ზოგიერი ჩამოსულ მხატვარს შედარებით ადრე ვადმოქმენთ თბილისში ახალი რეალისტური მიმართულების ელემენტები, რომლებიც ეხმარება ღრისშესანამშენი ქალაქების გამოსახვის ძველ ტრადიციებსაც. რამდენადაც ვიცით, XIX საუკუნის შუაწლების თბილისის საუკეთესო რეალისტური ხელს წარმოადგენს საკმაოდ დიდი ტილო

(1862 წ.) ლ. ფ. ლავროვისი, რომელსაც აგრეთვე აურჩევია ქალაქის სურათი ხელმე. მტკვრის სანაპიროდაც, სიდაბლის სავითი. სურათზე ქალაქი, მის იქით აღმართული მთაწმინდა, პირველი და მორეული ღრანები დახატულია გულდასმით, პერსპექტიული თანავარდობის დაცვით, მაგრამ რამდენადაც მშრალად და დოკუმენტურად. ფერადონების მხრივ ეს სურათი არ არის ბრწყინვალე, თუმცა მხატვარს აურჩევია საღამოს ეპიზოდის ჩასვლის წინ, და უდიდია ვადმოცვა ფერწერისათვის ფრიალ მომგვანიანი განათების ტონების თამაში. ლავროვის „ძველი თბილისი“, როგორც ისტორიული წყარო, დიდ ნიღბას იმსახურებს.

ფოტოგრაფიის გამოჩენა და ფართოდ ვავრცელება ჰკვეცვს მთხოვნილებას. ხელით ფოტოგრაფიულად ძვირად ღირებულ რთულ „შესანიშნავ პერსპექტივ“. XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ფერწერული რეალისტური ხელების რაოდენობა მცირე და შედარებით ნაკლებ საინტერესოა. ისინი ვერ უძებნენ ისეთი ვავრცელებული ხელების კონკრეტულებს, როგორც იყვნენ „ღარიბი“, „ბორჯომი“, „ყაზახი“, „არარატი“, რომლებსაც „კვანისურ მარგალიტებს“ უწოდებდნენ და „რიკიანი“ ბურჟუაზიული მორთულობის განყოფილ საკაულებს წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის დამდეგს თბილისის მხატვრული ცხოვრება ევროპის, უფრო მეტად კი, რუსეთის ბურჟუაზიული ხელოვნების საერთო კალაპოტში მიდინარეობდა. მაგრამ ამასთან ისახებოდა ადგილობრივი სპეციფიური ნიშნები, რომელთაგან ზოგიერთმა რეკლუციის შემდეგ ვავრცელები ევოლუცია განიცადა, კერძოდ, ახალი ხელების პეიზაჟი და ადგილობრივი ეპირის თავისებურებით აღიჭურვა.

უფროსი თაობის მხატვართა შორის გამოჩნდნენ ადამიანი, რომელთაც დაინახეს თბილისი დაინტერესებული, ქალაქზე შეყვარებული ცილის თვალთი. მფის რუსეთის ადმინისტრაციული და საკუთრი-სამრეწველო ცენტრის გარეგნული საერთო მოხაზულობის იქით, ძველს-ძველ უხეხნა და ვაკრატულიში მათ იხოვეს ვანუშობებელი რომანტიკული კუთხები და ადგილობრივი მრავალეროვანი ტიპაჟი მათი ცხოველხატული თავისებურებით. ამ ხანებში თბილისის ვაჩნდნენ მხატვრული განათლების კეროი კერები, შემდეგ სკოლა. მათ აღზარდეს მხატვართა ახალგაზრდა კადრები ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ამ ახალგაზრდობამ „აღმოაჩინა“ თვითმოყოლი ხალხური მხატვარი ნიკო ფიროსმანიანი, რომელსაც საქართველოს და მისი დედაქალაქი — თბილისი მაშინდელი ცხოვრება დაგვიანა სულ სხვა მხრიდან, ახალი კუთხიდან, და რომელმაც ახალი სიტყვა თქვა თბილისის ადგილობრივი სპეციფიკის მხატვრული აღბეჭდვის საქმეში.

პირველი მსოფლიო იმის, ოქტომბრის რევოლუციის და სამოქალაქი ომის წლებში, თბილისში ჩამოინდნენ ცნობილი მხატვრები, რომელთაც ზოგიერთი დიდხანს ცხოვრობდა, ხოლო ზოგი კი სამუდამოდ დაშვიდრდა აქ. თვითანი ფუნქციონ მათ ვადიდრეს ჩვენი დედაქალაქის მხატვრობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახეთი ხელოვნების წინაშე დაიხასა სხვადასხვაგვარი ახალი ამოცანები, ვადამათა ახალი პერსპექტივები. კერძოდ, ვადიდრდა და ვამრავალეროვანად თბილისის ასახვის თემა — სოციალისტური მშენებლობის დაწყებათან დაკავშირებით. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მხატვართა ძველი კადრები ხევი კიდევ არ სტოვებდნენ შეჩვეულ ნადაც ზას. მათ იყვი იზიდავდა და იტაცებდა ქალაქის საერთო ხევიები და ძველი კუთხები სპეციფიკური-ადგილობრივი ტიპაჟით. ე. წ. ლანსკერს ღრმად ვადიდრდა და სხვადასხვა ტენიკური ბურჟუაზიული შესანიშნავი ნამუშევრები სამუდამოდ დარჩენა

ფერწერაში, მით უფრო გრაფიკაში, როგორც საქართველოს დღეაქალაქის საეკიფიის, მისი განუყოფელი თანვისებულებების სახეობის საეკიფიო ნიშნებში. ძველი თბილისის თვისებულების საფუძვლიანი ცოდნა და ღრმა გაგება გამოიჩინა ლანსერემ ლეო ტელუტაის „პა-ჯი მუკარასათვის“ შესრულებულ ძიულ რკ ილუსტრაციებში. თბილისის კუთხეების „პორტრეტების“ განკარგობდნენ ფერმწერალი ბ. ფოკელი, არქიტექტორი ბ. პეტელოვი და ბევრი სხვა მხატვარი და გრაფიკოსი: მ. თოდუნი, ა. შამთოვი, ე. თათეოსიანი, გ. შერბანიანი, გ. ბაშინჯიანი და სხვ. ცოდანი და ოცდაათნი წლები აღინიშნა გარდაცემების მონასწავლებელი ისეთი მომენტებით, როგორც იყო 1922 წლის მანის თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსება, სხვადასხვა სამხატვრო საზოგადოების წარმოშობა, მთლიან პირობებს, რომელიც საქ. კ. (ბ) ცკის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ, თავდასა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ორგანიზაციით.

ახალი თმატიკით, — მ. თოდის, თბილისი, ზაქსით განათებული“ ახალი თბილისისადმი მიძღვნილი აღმ. კ. შამთოვი პეიზაჟებით და სხვებით იწყება თბილისის მხატვრული სახევის ისტორიის ახალი ფურცელი. ძველი კარების თანდათან გარდაქმნა და მრავალრიცხოვანი ახალფარდობის აქტივობა უზრუნველყო მხატვრული პროდუქციის, კერძოდ, თბილისისადმი მიძღვნილი ფერწერული ტილოების და გრაფიკული ნახატების სიღრმე უნდა ვიფიქროთ, რომ მქუფარე და სწრაფდმზარდი, კეთილშეწყობის და გამწვევიერების ვითი მიმავალი ჩვენი ქალაქის სახევის მადლიანი თემა კიდევ მრავალ, ნაირნაირი ნიშით დაჯილდოებულ მხატვარს მიიზიდავს, აღძვას მათში შემოქმედების მისწრაფებას.

ელეგანტური და ანტი, რომელიც თავის შემოქმედებითი გზის დასაწყისშიც თბილისის თემზე მიმართავდა, სიმწიფის პერიოდშიც დიდი გატაკებით და რომანტიკული განხრით ხატავს არა მარტო საქართველოს ახალ მნიშვნელობა სურათებს, არამედ ხშირად უზრუნველბა ძველ თბილისსაც, რომლის სახესაც იგი გვიხატავს მამარად და თავისებურად. ბევრი ნამუშევარი აქვს ახალშენებლობის და ძველი თბილისის თემაზე ერთ-ერთ ჩვენს წამყვან აკადრისტს ვ. ნ. ჯავახიშვილს. ფაქიზად და ოსტატურად მუშაობენ თბილისის სხვადასხვა თემებზე ჩვენი ტრავირები, ლითონგრაფები და სხვა გრაფიკოსები — ლითონგრაფიების ფაქიზი და გამოცდილი ოსტატები. ჩერნიშოკო, ერთ-ერთი ქართველი წამყვანი გრაფიკოსი კ. კ. შამთოვი, მინიატურისტი ს. ხ. დამიანი, რკიფიერი ა. კოჯოიანი, შ. ცხადაძე და სხვ.

დავით ქაჯაბაძემ, მას შემდეგ, რაც უსკანო, აბსტრაქტულ ხელოვნებას ზურგს შეაქცია, აკადრებლის თავისი უსაყანგელი სერიადი ძველი თბილისის მოტივებზე შექმნა პარალელურ მონოფერდობის ნაწარმოები, რომლებიც დაწერილია თავისებური მანერით, განუმოვარი აღნიღბულად ლურჯი ხელწერით.

არ შეიძლება ორიოდვე სიტყვა არ ითქვას თბილისის ასახევის ისტორიულ სურათებში, რომელთა განხილვა სპეციალურ თემის შეადგენს და არ შედის ამ ნარკვევის ამოცანაში.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში დაარსდა სამხედრო-ისტორიული მუზეუმი „Храм Славян“ („დიდების ტაძარი“). მუზეუმმა მხატვრებს მისცა მრავა-

ლი სხვადასხვა შეკვეთა, უმთავრესად, ბატალურ თემებზე ამ თემების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცხოილიმა რუმა ბატალისა — ფრ. ა. რუბოძაძე. სხვათა შორის, ის ფუჯავ ეკუთვნის 1892 წელს შექმნილი ტილო „მე-17 ეგერის პოლის შემოსვლა თბილისი 1799 წლის 26 ნოემბერს“. სამუხაროდ, ამ სურათის უკანა ფონზე დახატული თბილისი ხელი შორისა სასურველი სიზუსტესაკაბ — 1795 წლის ხანგრძლივიან აღდგარ ქალაქს არ შეიძლებოდა აქონოდა ხელი XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი მრავალი შემთხვევა. გარდა ამისა სიონის ტიპის გუბათიანი ტაძარი, რომელიც გამოისახლია რუბოს სურათზე და რომლის ჩრდილოეთის ფასადი ახანგრის ანსახლის დიდ ტაძარს მოგვაგონებს, თბილისის არასოდეს არ არსებულა და ა. შ. თბილისის კომუნალური მუზეუმის შეკვეთით შესრულებული მთელი რიგი მატარული სურათებიც არ არის დახვეწული აშკარა ანაქრონიზმებისაგან. შეუსაბამობა განსაკუთრებით თვალში გვეკრძამ მხატვარ შ. მაცუაშვილის ისტორიულ ტილოებზე. მოვიხსენოთ ერთ მაგალითს. ნატურრიან ეტილოვან წერას შეჩვეულმა ამ მხატვარმა თავის ტილოზე „საარსული ვარნიზონის განდევნა თბილისიდან 1748 წელს“ (ე. ი. როცა ნარიყალა თავის ფუნქციას კიდევ ასრულებდა) ვეაჩვენა ნარიყალა, როგორც ნანგრევები 1809 წლის რემონტის დროს გაკეთებული ცემენტის საყრდენით.

მავე მუზეუმის შეკვეთით ძველი თბილისის აღსაბეჭდად შესრულებული სურათები და ნახატები (ბ. ფოკელი, დ. გველქიანი, ა. ციმაკურიძე, ბ. ბუთოვი, ა. ბუნიანი და სხვ.) დარჩება ძვირფას მასალად ილდგამთ ისტორიისათვის.

პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიულ ტილოებს და ჩანახატებს ლალო გუდიაშვილი რომანტიკულ-ფანტასტიკური მანერით შესრულებული ნამუშევრები. გამოირჩევიან რა ნახატის, წერის სინატივი და თავისებურებებით, მხატვრული ღირსებით ისინი თანაბარი არ არიან. როცა ლალო გუდიაშვილი ხელს კიდებს ლეგენდებით მოცული თბილისის დაარსების თემას და წერს ლამაზ დეკორატიულ ტილოს, ნახევრად ზღაპრული ფანტასტიკით აღბეჭდილს, — ეს სახესებით მისაღები და გამართლებულია, მაგრამ მკაცრად დადგენილი ისტორიული ამბებისადმი ასეთივე მიდრეკილე და დავას იწვევს.

თბილისის რეველუციური წარსულისადმი მიძღვნილი ისტორიულ ტილოებს შორის ყველაზე მეტი წარმატება ხედა უნა ჯაფარიძის სურათს „საპირველმისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს“. განსაკუთრებით გულწრფვად და გატაკებით არის დაწერილი ამ სურათის ესკიზი. რაც შეეხება თვით მონუმენტურ ტილოს, რომელიც გაკრულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტრუქტის თბილისის ფილიალის კორფერენც-დარბაზის კედელზე, დაწერილია ტექნიკური მოღწეულობა და რამდენიმე ფოტოგრაფიზმის დასატარებლს. ყოველ შემთხვევაში, სახალხო მხატვრის უნა ჯაფარიძის მიერ შექმნილი ეს ესკიზი და სურათი საუკეთესოა მათ შორის, რაც კი თბილისის თემაზე ამ ყანში შექმნილა.

ჩვენ ვაქვს სრული საფუძველი ვიქონიოთ იმედი, რომ ბუნების წარმატებულ წარმოდგენილ, მქუფარე მხარე თბილისი, რომელიც უფრო და უფრო ხდება სკვერების, ბაღების, ნაირნაირი მწვანე ნარგავების ქალაქად, მომავალშიც დარჩება მთავარების წყაროდ ქართველი და მომე ერების მხატვრებისათვის.



ბლანშარის მოგზაურობა საქართველოში და მისი ჩანახატები

თეიმურაზ ფირალიშვილი



სი წლის წინათ საფრანგეთში გაცხოველდა ძველი კულტურის ხალხთა ისტორიის შესწავლა. შეიქმნა ორიენტალისტთა შესანიშნავი სკოლები. პარიზის აზიური საზოგადოება და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. უდიდეს ბუნებრივ სენზორებს, მარი ბროსეს, დიუბუა დემონბერეს შრომებს უძველესი კულტურის ხალხის — ქართველების შესახებ. ფრანგი საზოგადოება გაეცნო პეისონელის, ფეგინის, ბოჟურის, ბელანკეს, ბესეს და სხვათა შესანიშნავ მემუარებს საქართველოს შესახებ. სამეცნიერო ბიულეტენები ხელახლა აქვეყნებდნენ წინა საუკუნეში დაბეჭდილი ცნობებს კავკასიისა და საქართველოზე. გამოქვეყნდა რადიკალური შესანიშნავი თხზულება კავკასიელ „ლომად“ ფილანდელ „ირაკლიუსზე“ — ქრისტიანობისათვის წამებულ ერთი მთუა ერის მეფის გიორგისზე.

1858 წელს პარიზში დიურან-რუელის სალონში მოეწყო იმ მხატვართა გამოფენა, რომელნიც მიწვეულნი იყვნენ ალექსანდრე მეორის კორონაციასზე.

არ შეიძლება არ გამოფენას დიდი ყურადღება არ მიექცია, რადგან საგამოფენო სალონში მხატვლებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ პარიზში „ზინგელთა მხატვრობის სკოლის ცნობილი პორტრეტისტის დიურან-რუელის მიერ შესრულებული მისი უდიდესი უმჯობესი ალექსანდრე II-ის და უზღაურეს პერსონალთა საზეიმო პორტრეტები. მეორე მხრივ, სალონში გამოფენილი იყო მამინ მებაღე პოპოლარული ფრანგი გრაფიკოსის და ასევე პოპულარული ფურნაღისტი პიერ ბლანშარის საყურადღებო ნამუშევრები კავკასიისა და საქართველოს თემებზე. მის მიერ დაწერილი პორტრეტებისა და კომპოზიციების პერსონაჟები იყვნენ ფრანგი მოგზაურ-მემუარისტების ნაწერებში და ენციკლოპედიებში მრავალჯერის ხსენებული „თვალწამრტაკი საქართველო“ და მისი რომანტიკურ-რეალისტული გარეგნობის შვილები. პარიზულ პრესა ცოცხალი ინტერესით გამოეხმაუ-

რა გამოფენას. ორმა გამოცემამ „Tour du Monde“ და „Illustration de Paris“-მ მოათავსა მხატვარ პიერ ბლანშარის აღზრთიანებული წერილები საქართველოსა და ქართველ ხალხზე.

პიერ ბლანშარმა 1857 წელს რადიკალური თეე გაატარა საქართველოში. იგი ქართველებს საკმაოდ დაუახლოვდა და საყურადღებო ნარკვევი დაწერა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაზე.

უფრო ადრე იგივე ფრანგი მხატვარი 1855 წლის 17 აგვისტოს ამატქსანდრე მეორის კორონაციას დაესწრო იმ მრავალრიცხოვან უცხოელებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ ძველ და ახალ სახელმწიფოთა დინასტიების წარმომადგენლები, ცნობილი უცხოელი მხატვრები და ფურნაღისტები. ამავე კორონაციასზე ბლანშარის საშუალება მიეცა გასცნობოდა ქართველებს. 17 აგვისტოს დილით პეტერბურგიდან მოსკოვში ახალი იმპერატორის კორტეჯის შემოსვლას მიჰყოლინენ. ამ საზეიმო ვითარებაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხო სტუმრებზე¹.

ბლანშარისათვის, იმ ქვეყნის შეიშლისათვის, სადაც იმპერატორთა გვირგვინები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს, როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, დრომოქმული ჰერალდიკით, ბალდახნილებით მოკაზმულ თეატრალიზებულ ზეიმს გაკმაზურებული ბალმასკარადის ელფერი ჰქონდა. იყო ერთი ზარბაზნების შედარებით, ზარების რეკვა, ვაშას შეძახილები და ერთფეროვანი უნიფორმების იძულებული თვალთვლება. შეიძლება დიდხანს გაკრძელებული იყოს დამოუკიდებელი ერთფეროვნება, რომ სტუმართა ყურადღება არ გამოეფხიზლებინათ ერთი დანსხვავებულ ტონს: საზეიმოდ მორთულ მოსკოვში იმპერატორს თან ახლდა უცხო გარეგნობის მხედართა გუნდი. ესენი იყვნენ გრუზამიანი შავკერამანი ვაჟაკები ნაციონალურ კოსტუმებსა და იარაღ-

ასმულობაში. ისინი ყარაბაღულ ქურანებზე ისხდნენ და თავი რაინდულად ეტყობათ. ასე იყო წარმოდგენილი საქართველო თავისი შვილებით, რომლებიც არც თუ ისე იმიჯათად იხსენივდნენ იმდროინდელ ევროპულ პრესაში კავკასიის საკითხების გამოკვლასთან დაკავშირებით.

ამავე საზეიმო დღეებში მოხდა მეორე გვირგვინის და ხმლის კურთხევა. კავკასიის მთავარმართებელ და ჯარების მთავარსარდალ დიანშინა შემდეგში კავკასიის „გვირად“ წოდებული თავად ბარიატინსკი. ამ უკანასკნელს ჩვენი ელოდებოდა „ისტორიული მისია“. ყირიმის უდიდესი კამპანიიდან განთავისუფლებულს მას უნდა დაემთავრებინა კავკასიის განთავისუფლებული ომები და მოეგვარებინა მურავიოვის მიერ აწეული საქმეები საქართველოში.

პიერ ბლანშარი პირადად გაეცნო ქართველებს. ბარიატინსკის რეკომენდაციით, 26 აგვისტოს იგი დაესწრო კრელოს წინააღმდეგ პალატაში გამართულ „უმაღლესი ხალხ“.

უცხოელთათვის ახალ პოლიტიკურ ვითარებაში კავკასია მებაღე პოპოლარული ჩანდა. სწორედ ამიტომ იმ სალონის სტუმართა უმრავლესობა ერთ წრეს შემორტყმოდა. ამ იყვნენ: სამეგრელოს თვალწამრტაკი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე, მანანა ორბელიანის ქალიშვილი — პეტერბურგის სალონებში განხილვებული ტასო ორბელიანი-ვაკარინისა, მომიხილული პაპა დადიანი-ვიტენგენისისა, თავადი ბარიატინსკი. აქვე გახლდათ ესპანეთის ელჩი — სიმდინდია და პოლიტიკური კარიერით სახელმძიმე-ქილი ჰერციკი და ოსუნა, რომელიც მომიხილული იყო ეკატერინე ჭავჭავაძის და მისი თანამემამულეებით. მათ შორის იყო აგრეთვე თავისი დრამატული ნაწერების სახელმძიმე-ქილი, ქართველებთან დაახლოებული არისტოკრატი გრაფი სოლოჯოვი.

იმპერატორმა და მისი ყურადღებით განხილვებულმა თავადმა ბარიატინსკიმ გადაწყვიტეს, ქართველი პოეტ-

¹ იხილეთ „საქორიანციო კრებულის“ პირველი ტომი.



ფრანკენი

ბეკლი თბილისი, ზეთი, 1879 წ.



სამოსახლოს ძიებაში

— ეს ადგილი წყნეთს არ ჩამოუვარდნება, აქ სამოსახლო ნაკეთი უნდა ვთხოვო ღმერთს.


უღმერთო ბიუროკრატიზმი

— კომუნატორია? თუ ღმერთი გწამს, ღმერთთან შემაერთე, ერთი ცალი სამშაურიანილა ღამრა.



ღმერთს არ სცაღლია

— უფალი ღმერთი ჯერ ვერ მიგაღლებთ, საორგანიზაციო საკითხზე თათბირი აქვს.



გაგრძელება იხ. შემდეგი ფურალი ჩანართის მეორე მხარეზე.



პ. ბლანშარი ქართველი თავადები ნადირობაზე.

და კავკასიის ფრონტის ერთ-ერთი მხედართმთავარი გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგში ოქროს ხმლით დასაჯადობდა და მოიწვიდა. რადგან ამ უკანასკნელმა, როგორც ბოლო დროს კავკასიიდან მოსული ამბები მოწმობდნენ, მეტისმეტად გამოიჩინა თავი სამხედრო ინიციატივით.

ზრიატისკომ უმაღლესის სურვილებს თავისი საკუთარიც დაუბატა. მან შექმნა დიდებული ამალა და გრძელსოლოგებს საზეიმოდ განუცხადა: თქვენ, როგორც ქართველებთან დაახლოებულ პირს, საქართველოში ვიწვევთ ჩემს თანაშემწედ.

* * *

ოქტომბრის ბოლოს მთავარმართებელი თავისი ამალით (გაფივი ემილი ვიტენშტეინი თვალწარმატებულ მულთერით, ტასო ორბელიანი, გრაფი სოლოგუბი, მხატვარი პიერ ბლანშარი, ადვოკატი ნიკოლაევი და სხვანი) თომარანში შეიკრდა. აქ

დაუხვდათ გრიგოლ ორბელიანი რომელიმე გარკვეულ პეტერბურგში თავისი გარკვევისა და დაჯავღების ამბავი. მთავარმა რთებელმა ამის მეორე წყალობაც დაუბატა: ალუთქვა გრ. ორბელიანს: პირად აღიუბნათად აიყვანთქვენს ქმისწულვანო ორბელიანსო. (ქართულ საზოგადოებაში ვაკლენიანი დედის წყალობით უწოდებდნენ,

მას „მანანიჩს“ თავქეთვა, დროსტარების მოყვარული ყმაწვილი იყო). გარდა ამისა იმპერატორის ახალი წარმომადგენელი გრ. ორბელიანს დაბირდა — საქართველოში კვლავ ავიდავენ განათლების და ხელოვნების ხელშეწყობა დაწესებულებებისო. უთუოდ სწორედ ამიტომ ქართველმა პოეტმა აღფრთოვანებით სახელწოდებია აფრინა საქართველოსკენ¹. იგი თანამემამულეთ სთხოვდა ღირსეულად დახვედროდნენ „ღვთის საგან მოვლენილ კაცს“, რომელიც „გულთ, გონებით, კეთილი ზრახვებით, სიყვარულით, მოღის საქართველის გაბედნიერებისათვის, დახვდით ზურნით, ნაღარით, ცხენის ჭებინო.

1 ი. გრ. ორბელიანის „წერილები“ ვ. გაწერელის რედაქციით. წ. II, 1856 წ. წერილი ყვფლან ორბელიანისადმი, მანანა ორბელიანისადმი, დიმიტრი გორჯაძისადმი და სხვ.

ყივინით, „ქვევრების ახლით“, „ღმერთმან ალარულის ყოველივე გახზავნის მისი...“

თუ რამდენად ასრულდა მთავარმართებლის დაბირება, ეს იქიდან ჩანს, რომ კულტურულ საქმეთათვის მოწვეული სოლოგუბი ზარიატისკომ გახაყუნებული ძალე ისევ პეტერბურგისაკენ გაისტუმრა.

თუ რა მოხდა ამის შემდეგ, ამის განსაკუთრებულად ვაგვიყვებთ ბლანშარის ჩანაწერებს.

მთავარმართებელი ზარიატისკო 1856 წლის პირველ ნოემბერს ლაგოდენში მივიდა. იმ დღიდან პიერ ბლანშარის ყურადღებას იქცევს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება. ამის ერთ-ერთი ძლიერი საბაზი მთავარმართებლის შესახებდრდა ლაგოდენში მიწყობილი საქეტაკული შეიქმნა.

გრ. ორბელიანისაგან გაფრთხილებულმა ქართულმა საზოგადოებამ „ქვევრების ახლას“ და „ღაფა-ზურნას“ თავისი ღონისძიებაც დაუბატა. ისარგებლა რა საზეიმო ვითარებით, აღმებისტარაციის ახალ წარმომადგენელს გაუქმებული ქართული თეატრის საქეტაკული დაახვედრა.

„საღამოს საქეტაკულს დავესწარი, რომელიც გამართეს შვენიერად აგებულ ღარბაზში“. ამასთან ფრანგი ჟურნალისტი მწუხარებას გამოთქამა: არ მესმოდა ენა, რომელზედაც მიმდინარებდა საქეტაკული, თუმცა ადვილი მისახვედრი იყო, რა ენაზე სრულდებოდა პიესები.

„ქალების და მამაკაცების როლებს სამხედროები ასრულებდნენ. მე ვერ შევძლებ, დამასწავნოთ რაიმე ამ პიესის მისწავრის შესახებ. მაგრამ ერთი რამ ცხადია იყო: მაყურებელთა სიცილი და ტაში პიესების აუტორის და მსახიობების გამარჯვებას მოწმობდა“.

ბლანშარის სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ ლაგოდენში წარმოდგენილი იყო კომედიები, ამ მათი ნაწყველები, რომლებიც აღფრთოვანებით მიიღეს დამსწერი საზოგადოებას. გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ სტუმრების პატენსაცემად ამაგოდენში დადგული იქნა გ. ერისთავის რომელიმე კომედია ან ნაწყველები მისი კომედიებიდან. ამ დროს, როცა გაუქმდა ქართული თეატრი, მისი მოთავის ვიორგი ერისთავის რამაბატული ნაწარმოებები ქართულმა საზოგადოებამ ერთგული კულტურის დროშად აღიარა. მათი დადგმით მან გამოხატა წინანდელ მთავარმართებულ მუარავივის მიერ შეურაცხყოფილი



პ. ბლანშარი თავადნაწარობის მიერ თავად ზარიატისკის საპატენტებულ საბჭოთაო ხალხ.

ეროვნული გრძნობები და გამოთქვა სურვილი, აღდგენილიყო შეწყვეტილი კულტურული საქმიანობა.

ბლანშარის ცნობას ლაგოდეხში გამართული ქართული საექტაკლის შეხსახებ, ვფიქრობთ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკრძოდ, თეატრის ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, იმ დროს ასეთი ქართული წარმოდგენის გამართვის ფაქტი ჯერ არსად არ აღინიშნულა.

საქართველოს ბლანშარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაუტოვებია. იგი ცდილობს ყურადღებიდან არ გამოიჩინოს ქართველთა კულტურული ცხოვრების არც ერთი ფაქტი, რომლის მხილველი და მოწმე ყოფილა.

გამოცეხულია ბლანშარის გრაფიკული ნაშუქვები, რომლებიც ძირითადადში სწრაფადწარმავალ შთაბეჭდილებებზეა აგებული. ახალ სიტუაციებს, ტიპებს, კოსტუმებს, ნივთებს ისეთი სიმართლით ხატავს, თითქოს ხანგრძლივი დაკვირვებით შესწავლილი და შეცნობილი ჰქონოდა არა მარტო მათი გარეგნული თავისებურებანი, არამედ შინაარსიც. მისი ნახატებიდან, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ ვეკავს მხოლოდ ორი ორიგინალი და სხვების მიერ ლითოგრაფიული და დაბეჭდვითი რამდენიმე სხვა ნაშუქვები.

ამ ნახატებთან ერთად ბლანშარის მოკრებები ერთობ ძვირფას წყაროს წარმოადგენს გარდასული დროის სურათების აღსადგენად.

კახეთში მიმავალ სტუმრებს ყვარელში ქართველ ცხენოსანთა რაზმი დახვდებოდა. მათ შეუმორღო იგრის, დარბაისლურ, რაინდულ მხრამხრას და თავაზიანობას ფრანგი მოგზაური მოუხიბლავს. ქართული ცხენოსნებს ის „დიდებულ ესკადრონს“ უწოდებს და მარჯვე ხელით ქალღმრთელს ეთრთობს ცხენოსნის პორტრეტს.

ყვარელი (Kvarel), — წერს ის, — სადაც დამე გაგაიოთ, დღე სოფელთან გამაგრებული სამხედრო პოსტია. აქ ჩვენ ყველაზე სასიამოვნო შეხვედრა მოგველოდა“.

ქართული სტუმარ-მასპინძლობის შესაბამისად მხატვარი თავად ჭკეჭავაძეს ვეუბნება მარაში მოწვევია, სადაც ქართული ლაზათით დამწვენიბული სუფრა დახვედრიათ. უწინაურეს ყოვლისა, მისი ყურადღება მიუქცევია ზარნიშითა და სევალით შეკობილ ნაირ-ნაირ ქართულ ჭურჭლებს: კულას, ფილას, ყანწს და ჭინჭილას, საარაკოდ მოჩუქურთმებულ შიხაზს და შირმაიას.

„თავს ისე გვგრძნობდი, თითქოს

შუასაკუწეებში მოხვედრილიყავი. მდიდრული ჩაცმულობა, იარაღისმულობა, ყველაფერი ის ამ გაცხოველებულ სცენას, თქვენ დამერწმუნებით, განსაკუთრებულ ორიგინალობას ანიჭებდა. თქვენთვის ძველად დასაჯერებელი იქნება, მაგრამ სრული კემშარტიტება, რომ ასეთი „ჰომერული“ ნალიმის განმავლობაში დამხედურთაგან არავის შეუბღალავს ყოვლად დარბაისლური და კლემამოსილიებით დამწვენიბული მხიარულების სახედვრები“.

ქართულ ლხინს ბევრი უცხოელი აღწერს. მათი ყურადღება, ცხადია, მარტოდღენ გასტრონომიულ ნაირნაკეთობას არ შეეხება. ერის ცხოვრების ამ მომენტს XVIII-XIX საუკუნეებში ფრანგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და დიდ ინტერესს იჩენდნენ.

ბლანშარი ქართული სუფრის სილამაზეს „თვალწარმტაც ნატიურ-მორტს“ უწოდებს.

